

ელჩინი

შექსპირი

ინგლისურიდან თარგმნა მარიამ ქაშიბაძემ

კომედია სერიოზულიც და ტრაგიკულიც ათ სურათად,

მოქმედნი პირნი:

1.

ფსიქიატრიულის მომსახურე პერსონალი:

მთავარი ექიმი (მამაკაცი)

ექიმი (ქალი)

მომვლელი

2.

ფსიქიატრიულის პაციენტები:

სლემ 13

სარა ბერნარი

ვენერელი

ცოლ-ქმარი

იოსებ ბესარიონის ძე სტალინი

მოქმედების ადგილი ბაქო, დრო 2005 წელი

სურათი 1

ნაშუადღევი. ფსიქიატრიული საავადმყოფო. მთავარი ექიმის კაბინეტი.

მთავარი ექიმი, ექიმი, მომვლელი, ცოლ-ქმარი.

მთავარი ექიმი თავის საწერ მაგიდასთან ზის და დაფიქრებული პალატას გაჰყურებს.

მთავარი ექიმი: დღეს პარასკევია, კვირის ბოლო... თვალის დახამხამებაში ილევ კვირა... და დღეს ისევ პარასკევია... ცხოვრებაც კვირის დღეებივითაა, დასასრული ძალიან მალე დგება...

პაუზა

დაე მოვიდეს!.. თუ ამდენად ფასობს, განა რა მოგცა ამ ცხოვრებამ? აი, ამდენი! (ცერა თითს საჩვენებელ და შუათითს შორის ჰყოფს) ერთი ბიჭი ეუბნება მოლას, ეი, მოლა, ვიღაცას კარგი ფლავი მოაქვს! _ მერე მე რა? _ შენს სახლში მოაქვს! _ მერე შენ რა?

პაუზა

ოჰ, ღმერთო, ნეტავ შემეძლოს ამ ე.წ. `ცხოვრების` აღება, სანაგვე ყუთში ჩატენა და კასპიის ზღვაში გადაგდება! (სლუკუნებს) ხალხო, უკვე ორმოცდაათს გადავცდი და ერთი... თუნდაც ერთი... ეჰ, ერთადერთი კარგი მოგონებაც არ გამაჩნია გულის გასახარად! ვის რაში სჭირდება ასეთი თავი? ან ასეთი გული?! (ჯიბიდან ცხვირსახოცს იღებს და მოთქვამს) ვის რაში სჭირდება? ვის, ვის? (ამოისლუკუნებს ერთი-ორჯერ)

კულისებიდან ხმაური ახლოვდება

_ შეჩერდი!

_ არა, გამიშვი!

_ არ გაქვთ შესვლის უფლება!

_ გამიშვი-მეთქი, გეუბნები!

იღება კარი, ჯერ შემოდის ქალი (ცოლ-ქმარი), რომელსაც გაბრაზებული ექიმი და მომვლელი მოჰყვება.

ქალი: (სუნთქვაშეკრული) ოჰ! მიშველეთ!..

მომვლელი: უნებართვოდ შემოვიდა!

ქალი: (მთავარ ექმის) გთხოვთ, გვედრებით მიშველეთ!

მთავარი ექიმი: (სწრაფად იშშრალებს ცრემლებს. ექიმს მიმართავს) რა ხდება აქ?

ექიმი: ვუთხარი ჯერ ჩემთან უნდა წამოხვიდე-მეთქი...

მთავარი ექიმი: (თვალს იშშრალებს. ექიმს) ერთი წუთით, დაწყნარდით! თვალში ისევ რაღაც ჩამივარდა... დამშვიდდით!

ქალი: არა... როგორ უნდა დავმშვიდდე, როგორ?

მთავარი ექიმი: ნუ აღელდებით! რა დაგემართათ?

ქალი: (გაკვირვებული) მე? (თავის თავს შეათვალიერებს) მე რა დამემართა? მადლობა ღმერთს, მშვენივრად ავრ.

მთავარი ექიმი: მაშ, რატომ ხართ ასე აღელვებული?

ქალი: ჩემს ქმარშია პრობლემა...

მთავარი ექიმი: თქვენს ქმარს რაღა სჭირს?

ქალი: (დაეჭვებული ანიშნებს ექიმზე და მომვლელზე) მათი თანდასწრებით შეიძლება ლაპარაკი?

მთავარი ექიმი: რასაკვირველია! ისინი ხომ ჩვენი პერსონალის წევრები არიან.

ქალი: (დაჟინებით უყურებს მომვლელს) მისიც?

მთავარი ექიმი: დიახ. ახლა მითხარით რა სჭირს თქვენს ქმარს?

ქალი: ჩემს ქმარს ეჩვენება... ეჩვენება, რომ ის მე ვარ...

მთავარი ექიმი: რა?

ქალი: მას ეჩვენება, ჩემს ქმარს, რომ ის მე ვარ.

მთავარი ექიმი: მას ჰგონია, რომ ის... თქვენ ხართ?

ქალი: სწორედ!

მთავარი ექიმი: თქვენს ქმარს!

ქალი: დიახ, დიახ...

მომვლელი: (გვერდზე) ოო, ასეთი ჯერ არ გვყოლია!

მთავარი ექიმი: (ექიმს) საინტერესო შემთხვევაა... (ქალს) ნუ იდარდებთ, გავსინჯავთ და ვუმკურნალებთ... რაც შეიძლება მალე მომიყვანეთ.

ქალი: (გაკვირვებული) რას ნიშნავს მომიყვანეთ?

მთავარი ექიმი: თქვენი ქმარი, ჩემთან მოიყვანეთ.

პაუზა

ქალი: კი მაგრამ, რაზე ლაპარაკობთ?

მთავარი ექიმი: რა რაზე?

ქალი: ჩემი ქმარი ხომ მე ვარ!

მთავარი ექიმი: რაო?

ქალი: (კიდევ უფრო განცვიფრებული) როგორ, ვერ ხედავთ, რომ ჩემი ქმარი მე ვარ?!

მომვლელი ხითხითებს, მთავარ ექიმს შეხედავს და თავი ხელში აჰყავს.

მთავარი ექიმი: (გონებას იკრებს) ვხედავ... (ექიმს გადაუჩურჩულებს) პიროვნების გაორება! აშკარა შემთხვევაა!.. (ქალს) ქალბატონო... ჰმ... უკაცრავად, ბატონო...

ცოლ-ქმარი: (კეკლუცად) არა, ახლა ისევ მე ვარ... ქალი... შეგიძლია ქალბატონით მომმართოთ...

მთავარი ექიმი: რა თქმა უნდა, თქვენ ქალი ხართ და საკმაოდ... საკმაოდ ლამაზიც...

ცოლ-ქმარი: (კომპლიმენტი სიამოვნებს) დიდი მადლობა...

მთავარი ექიმი: (ცოლ-ქმარს) ქალბატონო, ნუ აღელდებით... (ექიმს) შენ გაბარებ. გაესაუბრე, დიაგნოზი დაუსვი და საჭირო საბუთებიც შეადგინე.

ექიმი: დიახ, ბატონო. (ჩუმად) როცა ცოლ-ქმრულ უთანხმოებას ეხება საქმე, ყოველთვის მე გადმომცემს ხოლმე... წინასწარ აქვს ასე გადაწყვეტილი!.. ეგრეც მომიხდება!

მთავარი ექიმი: (ცოლ-ქმარს) ყველაფერი კარგად იქნება, არ ინერვიულოთ!

ცოლ-ქმარი: მჯერა თქვენი! დარწმუნებული ვარ ჩემს ქმარს უშველით! სხვათა შორის ძალიან ჭკვიანი და ალალი კაცია! თქვენ თვითონაც ნახავთ...

მთავარი ექიმი: რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა... შეგიძლიათ წაბრძანდეთ... გთხოვთ...

ცოლ-ქმარი და ექიმი გადიან

მთავარი ექიმი: (მომვლელს) შენც თავისუფალი ხარ.

მომვლელი: თვალები დაწითლებული გაქვთ... მოდით, თვალში ჩავარდნილ მტვერს ამოგიღებთ...

მთავარი ექიმი: (ისევ მაგიდას მიუჯდება) რა? ხო, კარგი, ამომიღე და წადი.

მომვლელი იხრება, მთავარი ექიმის ქუთუთოს სწევს და სულს უბერავს.

მომვლელი: ამ ბოლო დროს რაღაც ხშირად გივარდებათ მტვერი თვალში... (სულს უბერავს)

მთავარი ექიმი: სულს კარაგდ უბერავთ, ქურდბაცაცა რომ არ იყოთ!

მომვლელი: (შეცბუნებული) ბატონო ექიმო! მე...

მთავარი ექიმი: რა მე? ვცდები თუ?

მომვლელი: ჩემი პრინციპები...

მთავარი ექიმი: რომელი პრინციპები?

მომვლელი სიტყვებს ვერ პოულობს და ისევ უბერავს

მთავარი ექიმი: შენ რა პრინციპები გაქვს? გუშინ შვიდი სოსისი მოიპარე!

მომვლელი: მაგრამ... თქვენ... (სულს უბერავს)

მთავარი ექიმი: იცოდე, ბოლოჯერ გაფრთხილებ!

მომვლელი: დიდი მადლობა! ისეთი ჰუმანური ბრძანდებით, სხვა აქამდე კინწისკვრით გამაგდებდა.

მთავარი ექიმი: კარგი, გეყოფა! საკამრისია! მოეშვი თავივით სოსისების მოპარვას.

მომვლელი: (ცრემლებს გადმოყრის) თქვენ იღბლიანი ოპტიმისტი ხართ! (იღბლისთვის ხეს ეხება) ხეზე დააკაკუნეთ! მაგრამ მე ისეთი პესიმისტი ვარ!

მთავარი ექიმი: მერე რატომ? როგორ შეგიძლია პესიმისტი იყო, ცხოვრება ხომ მშვენიერია!

მომვლელი: გგონიათ, მე მომწონს სხვისი ულუფა რომ მიმაქვს? მაგრამ, აბა, სახლში ხელცარიელი როგორ მივიდე? ჩემს ცოლს რა ვუთხრა?

მთავარი ექიმი: შე კაცო, სოსისები ყოველდღე ცოლთან მიგაქვს? ეს ცხოვრება ხომ ნამდვილი საჩუქარია! ცხოვრება უნდა გიხაროდეს! იმხიარულე და იცეკვე ცოლთან ერთად!.. საღამოობით თეატრში წადი, კომედიებს უყურე!.. გული გადააყოლე!..

მომვლელი: (თავისთვის) ჩემს ცოლს არ იცნობს, ეეჰ...

მთავარი ექიმი: გაიგე რაც გითხარი? იცოდე, უკანასკნელად გაფრთხილებ!.. ახლა წადი.

მომვლელი გადის. პაუზა

(თვალს აყოლებს) ამბობს პესიმისტი ვარო... მაგრამ საღამოს ცოლთან სოსისები რომ მიაქვს მაშინ კია ბედნიერი!.. (ცრემლებს ვერ იკავებს) ყველა ბედნიერია, ჩემ გარდა, ჩემ გარდა... (ჯიბიდან ცხვირსახოცს იღებს და თვალს იმშრალავს)

სინათლე ქრება

სურათი 2

დილა, ფსიქიატრიული საავადმყოფო. სასადილო/ცოლ-ქმარი, სტალინი, ვენერელი, სარა ბერნარი, მომღვლელო/. ცოლ-ქმარი, სტალინი და სარა ბერნარი მაგიდასთან სხედან და საუბრობენ. ვენერელი ფანჯარასთან დგას და ცას გაჰყურებს.

სარა ბერნარი: “არ შემძლია მეგობარი რომ არ ვიტირო...” (ქვითინებს)

ვენერელი: (ცას თვალს არ აშორებს) “რომეო და ჯულიეტა”?

სარა ბერნარი: დიახ!.. ჯულიეტა ჩემი საყვარელი როლია! პრინციპში, ჯულიეტა ხომ ოცნებაა! მომავალია! კაცობრიობის სისპეტაკეა! უმანკოებაა! ის უბრალოდ თოთხმეტი წლის გოგონა კი არა, მთელი ადამიანთა მოდემის ჭეშმარიტი მგრძობიარობაა. დღეს ყველა თეატრის ექსპერტი გაიძახის ეს როლი ისე უნდა შეასრულო, რომ რეალურ ცხოვრებას შეესაბამებოდეს. რა სისულელეა! განა ხალხი ისეთი ბედნიერია, რომ მათი ცხოვრება სცენაზე გადმოიტანო?! არა! ჯულიეტა რეალური ცხოვრების დარად კი არ უნდა ითამაშო, არამედ წარმოსახვით სამეფოში!.. სცენა ცხოვრებას კი არ უნდა განასახიერებდეს, ჩვენი გულის იმედებს, ფანტაზიას და ლამაზ ოცნებებს უნდა ასხამდეს ფრთებს!.. მისი თამაშისას სცენა მიწას უნდა მოსწყვიტო და ზეცას მიუახლოვო!.. სცენა მიწას, ცხოვრებას არ უნდა ეხებოდეს, ის ზეცაში უნდა იყოს!..

სტალინი: ასეთი ყბედობისთვის მსახიობებს ციმბირში ვასახლებდი!..

სარა ბერნარი: იოსებ!.. ერთხელ მაინც დაივიწყე ეგ ყველაფერი! თავიდან ამოიგდე!.. ჯულიეტას უსმინე, იოსებ!.. “და ქვეყანაზე დადგებოდა უკუნი ღამე... მიჯნურთ მფარველო ბნელო ღამევე, გაშალე ფარდა... რომ შენს წყვილადში უცხოს თვალმა ვერ დაინახოს ჩემი რომეო, რომ იღუმალ მოვიდეს ჩემთან და მომეხვიოს... მიჯნურთ ძალუძთ საკუთარივე მშვენიერების სინათლე იხილონ ყველა... რაც თვითონა სურთ, და ბრმა იყოს თუნდ სიყვარული... მით უფრო მსგავსი იქნებოდა ის ბნელი ღამის... მოდი ღამეო, შენ შავებით მოსილო ქალო... მასწავლე, როგორ წავაგო იმ მომენტ თამაშში... სად წყვილ უმანკოს უბიწობა მიაქვს საწინდრად...” ეს არის ჯულიეტა!.. ხომ იცი როგორ მიყვარს დონია სოლი, მარგარიტა გოტიე! ლორენცაჩოც მითამაშია, ჰამლეტიც კი! ჰამლეტი ვითამაშე და მთელ კაცობრიობას დაეუსვი კითხვა “ყოფნა თუ არ ყოფნა?” და არა მხოლოდ პარიზელ მაყურებელს. ყველა მსახიობ ქალს შურდა ჩემი! მამაკაცებსაც! მე კი ყველა მათგანი მიყვარს! ლორენცაჩო!.. მარგარიტა გოტიე!.. და რასაკვირველია ჰამლეტი!.. მაგრამ... მაგრამ ჯულიეტა ერთადერთია!

პაუზა

(ჩაფიქრებული) ამბობენ ტურინში ჯულიეტას ქანდაკებააო... იქ წასვლაზე და მის ნახვაზე ვოცნებობ... მინდა იმ ქანდაკებას შევხედო, ვნახო მართლა ჯულიეტა თუ არა!.. სცენის მიღმა შექმნა ჯულიეტა? ამას ხომ დაუჯერებელი გამბედაობა სჭირდება... ამიტომაც მინდა ამ ქანდაკების ნახვა... მაგრამ, როგორც ჩანს, ჩემი ოცნება ოცნებადვე დარჩება, დაიმარხება ჩემს გულში... (ნაღვლიანად) ვინ წამიყვანს იქ? რომელი პრინცი მოვა ჩემს დასახსნელად?

ცოლ-ქმარი: ჩემი ქმარი გეუბნება, ვინ იცის, იმედს ნუ გადაიწყვეტო.

სარა ბერნარი: ერთი საიდუმლო მინდა გაგიმხილო... სიმართლე გითხრა, მინდოდა სამუდამოდ საიდუმლოდ შემენახა, მაგრამ წუხელ ვიფიქრე, აუცილებლად უნდა გავუმხილო-მეთქი ვინმეს, საფლავში რატომ უნდა ჩავიტანო? იცი, ეს შექსპირს ეხება!

სტალინი: ამ კლინიკაში შექსპირი არ გყავს...

სარა ბერნარი: არა, იოსებ, მე ნამდვილ შექსპირზე გეუბნები! შენ თუ არ გესმის, ისინი რაღას გაიგებენ? (კაბინეტებზე მიუთითებს) აქ მომუშავე რეგვენებისგან რას უნდა ველოდეთ...

ვენერელი: (როგორც იქნა ფანჯარას მოშორდა და მათკენ შემობრუნდა) გვაიმზე, საინტერესო ჩანს. რა საიდუმლოა?

სარა ბერნარი: (სრული სერიოზულობით) შექსპირმა ჯულიეტა სპეციალურად ჩემთვის დაწერა! ერთ საღამოს შექსპირმა დამირეკა და მითხრა: სარა, ჯულიეტას როლს სპეციალურად შენთვის ვწერო!

ცოლ-ქმარი: (თავის თავს ესაუბრება ხან კაცის ხმით, ხან საკუთარით) კი? (კაცის ხმით) არა!.. (თავისი ხმით) არა? (კაცის ხმით) ნამდვილად არა!.. (სარა ბერნარს) უკაცრავად, მაგრამ ჩემი ქმარი მიიჩნევს, რომ აქ რაღაც შეუსაბამობაა...

სარა ბერნარი: (გაოცებული) რატომ?

ცოლ-ქმარი: რატომ? (კაცის ხმით) იმიტომ რომ იმ დროს ტელეფონები არ იყო! (სარა ბერნარს, საკუთარი ხმით, ხმამაღლა) იმიტომ რომ იმ დროს ტელეფონები არ იყო!

სარა ბერნარი: (გულწრფელი სინანულით) ო, თუ შენც ასე ფიქრობ, რა განსხვავებაა თქვენსა (ირგვლივ ყველაზე მიუთითებს) და აქ მომსახურე პერსონალს შორის? როგორ შეიძლება გენიოსის ნამბობი უბრალო ტექნიკური აპარატის ისტორიით შემოიფარგლოს? ყურადღებით მომისმინე! იმ დროს პარიზის კონსერვატორია დავამთავრე და “კომედი ფრანსეზის” და “ჟიმნაზის” სცენაზე მოვხვდი; “პორტ სენ-მარტენზე” და “ოდეონში” ვითამაშე, ბოლოს კი საკუთარი “სარა ბერნარის თეატრი” დააარსე!.. და ერთ საღამოს თავად შექსპირი მირეკავს და მეუბნება: “სარა, ახლა ამქვეყნად არავინაა ჩემზე ბედნიერი!” “რა მოხდა უილიამ?” ვკითხე მე. “სარა, _ მეუბნება ის, _ აი, ამ წუთას დავამთავრე “რომეო და ჯულიეტა”! და გულის სიღრმიდან წამოსული ხმით ამატებს, “სარა, ჯულიეტა შენ ხარ!.. არ აქვს მნიშვნელობა ვინ ითამაშებს მას, ან როდის, მე ის შენთვის შევქმენი, სარა, ჯულიეტა ჩემი ძღვენია შენდამი, სარა, სამუდამოდ!..”

ცოლ-ქმარი: ეგ შექსპირმა გითხრა?

სარა ბერნარი: რა თქმა უნდა!

ცოლ-ქმარი: კი მაგრამ...

სარა ბერნარი: მაგრამ რა?

ცოლ-ქმარი: ჩემი ქმარი ამბობს შექსპირი მაგ დროისთვის უკვე მკვდარი იყო!

სარა ბერნარი: (გაბრაზებული) რაო? მკვდარიო? უკაცრავად, მაგრამ... მაგრამ ვის გაყევი ცოლად? განა შენმა ქმარმა არ იცის, რომ შექსპირი უკვდავია? რომ შექსპირი მარადიულია? არ იცის, ჰა?

ცოლ-ქმარი: (ცოტა არ იყოს დაბნეული, საკუთარი ხმით) არ იცი, რომ შექსპირი მარადიულია? (კაცის ხმით) არ მჯერა მაგ სიტყვების! (სარას, თავისი ხმით) არ სჯერა...

სარა ბერნარი: ოჰ! შენი ქმარი... საერთოდ როგორ ცხოვრობ ეგეთ კაცთან?!

ცოლ-ქმარი: (აპროტესტებს) ძალიანაც კარგი კაცია!..

ვენერელი: მაგრამ, მე მჯერა! მე მჯერა შენი სარა!

სტალინი: დაიჯერე, ამხანაგო ვენერელო! ყველამ ირწმუნეთ! ურწმუნეობა საშინელებაა! ერთ დროს, მეც არ მწამდა! და რა მივიღეთ შედეგად? ტერორი!.. მაგრამ... მაგრამ მაინც, არ შემიძლია დავიჯერო... მატერიალიზმის პრინციპებიდან გამომდინარე შექსპირი მკვდარია.

სარა ბერნარი: იოსებ!.. დღე და ღამე ნანობ!.. გიჟად ჩაგთვალეს და ამ კლინიკაში გამოგამწყვდიეს! ასე იტანჯები და მაინც მატერიალიზმს ებღაუჭები?!

ვენერელი: მართალია!.. იდეალიზმზე უნდა გადახვიდე! (ისევ ბრუნდება, რომ ფანჯრიდან ცას მიაჩერდეს)

სტალინი: ვიცი!.. და სწორედ ეგ არის ცემი ტრაგედია! არავისი მჯეროდა, არავის ვენდობოდი, მილიონობით ადამიანის სისხლი დავღვარე! ვნანობ! (დგება, გოდებით ეცემა მუხლებზე) მაპატიეთ, ხალხო, მომიტევეთ!.. ღვთის გულისთვის, მომიტევეთ! მიიღეთ ჩემი მონანიება! ღმერთსაც უარვყოფდი! ო, ხალხო, თუ ღმერთი გწამთ და გიყვართ, შემინდეთ!.. ჩემი როცა გეშინოდათ, ჩემს ნებისმიერ ბრძანებას ასრულებდით, ახლა კი გეუბნებით, ნუ გეშინათ, გევედრებით, ვნანობ, მაგრამ თქვენ გიჟს მემახით და უარყოფთ ჩემს სინანულს! ო, როგორ მიმძიმს! პატიებას ვითხოვ, ჩადენილი დანაშაულებებისთვის!.. გულს მიკლავს ამდენი ობლის წუხილი, შვილმკვდარი დედების წყევლა და კრულვა, ტანჯვით მოკლული უდანაშაულოთა ვედრება! ყველაფერს ვნანობ!.. (სული ეხუთება დარდისგან)

სარა ბერნარი: (ჩაფიქრებული აკვირდება სტალინს) მისი ამბავი შექსპირის კალმის ღირსია... კლავდიუსზე, რიჩარდზე და ჰენრიზე ძლიერი პერსონაჟი იქნებოდა!..

სტალინი: (დაჩოქილი, ტირილისგან სუნთქვაშეკრული) ყველასგან ვითხოვ შენდობას!.. მე ხომ ჯალათად არ დავბადებულვარ. სემინარიაში დავდიოდი, ბიბლიას ვკითხულობდი... რატომ, ამდენი მილიონი ადამიანიდან მე რატომ მერგო ბედად ბიბლიის “კაპიტალით” შეცვლა?! რატომ? ხომ იცით, რომ ეშმაკი არ ვყოფილვარ, არ ვიყავი სატანა! აჰ, რად მისმენდა ყველა, როცა ჯალათი ვიყავ, ახლა კი მონანულს ყურსაც არავინ მათხოვებს? რატომ? (ყვირის) არ მინდა გიჟი ვიყო! (მაგიდაზე მიუთითებს) აღარ მინდა მაგ სუპის ჭამა!..

სარა ბერნარი: დამშვიდდი იოსებ!..

სტალინი: ამხანაგო სარა ბერნარ!.. ხელოვანების წინაშე დიდი დანაშაული მიმიძღვის! ვინ იყვნენ იაგოდა ან ეჟოვი? ვინ იყო ბერია? მე ვიყავი! რამდენი რეჟისორის, მსახიობის და მწერლის დახვრეტა მიბრძანებია, რამდენი ციმბირში გადასახლება ან ავტოვარებიში დამიხოცავს!.. შეუძლებელია ზუსტი რაოდენობის დასახელება, ამხანაგო სარა ბერნარ!..

სარა ბერნარი: იოსებ, რამდენჯერ გითხარი ამხანაგს ნუ მემახი-მეთქი... არაზუნებრივად ჟღერს!

სტალინი: სხვანაირად ვერავის მივმართავ!.. ჩემთვის ყველა “ამხანაგია”! ჩემთვის საზოგადოება უკლასოა!..

სარა ბერნარი: აჰ, იოსებ!..

ვენერელი: (ფანჯრიდან იყურება) ძალიან ძნელია ამ პლანეტის პრობლემების გაგება!..

ცოლ-ქმარი: მაგრამ ჩვენ მუდამ აქ ვცხოვრობდით... მას (სტალინზე მიუთითებს) ჩემი სიმამრის ტომსკში, ციმბირში გადასახლება უნდოდა. ხომ ასეა ძვირფასო? (კაცის ხმა) დიახ, ასეა!.. (საკუთარი ხმით) საბედნიეროდ ის მოკვდა და ჩემი სიმამრიც გადარჩა.

სტალინი: (აღელვებული) ვინ მოკვდა?

ცოლ-ქმარი: ვინ და სტალინი.

სტალინი: რას ნიშნავს მოკვდა, აბა, მე ვინ ვარ?

ცოლ-ქმარი: (წამით იბნევა) მართლაც!..

მომვლელი: (შემოდის) აბა, რა ხდება? (სტალინს) რა არის ეს? ახლავე ადექი!

სტალინი: ვინაიღებ. მინდა ხალხმა შემინდოს. მინდა, რომ დღეიდან არავის ბიბლია არ შეიცვალოს “კაპიტალით”! მსურს, ყველამ, მომავალმა თაობებმა, ირწმუნონ ყველა წმინდა წიგნის სათნოება და დაიცვან იგი!

მომვლელი: ადექი, ამხელა კაცი ხარ! ხომ ამბობ სტალინი ვარო?

სტალინი: რა თქმა უნდა, სტალინი ვარ!

მომვლელი: მაშ, კარგი!.. ნახევარი მსოფლიო შენს ხელთ იყო. ჭამდი, სვამდი და ერთობოდი! შენი სიტყვა კანონი იყო! როცა კი მოისურვებდი მშვენიერ ქართულ ღვინოს მიირთმევდი ან “დიდი თეატრის” ბალერინების ყურებით დატკბებოდი. ახლა კი რაღა გინდა? ხუთი თუ ათი მილიონ ადამიანს წააცალე თავი, სამაგიეროდ შენ თვითონ დიდებულ დროს აატრებდი! ეჰ, შე ბედნიერო, ჩემსავით მომვლელად კი არ გიმუშავია საიუქეთში! რატომ შენს ბედნიერ ვარსკვლავს არ ლოცავ?! შენი ცხოვრება ია-ვარდებით იყო მორთული! ასეთ აურზაურს რაღაზე ტეხ?

სტალინი: (შემრწუნებული) ხალხო, გაიგეთ რა თქვა ამ კაცმა?! ხედავთ, რა საშინელი კაცი ყოფილა! ასეთ საზარელ ხალხთან გაქვთ საქმე?! ამიტომაც ვშიშობ მომავალ ტაობაზე! აღარ მინდა ამდენი სისხლი კვლავ დაიღვაროს ან ხალხი გადაასახლონ ციმბირში, ძმას ძმის ემინოდეს, ქალიშვილი მამას აბეზღებდეს KGB-სთან, შვილი მშობლებს გასცემდეს, ან ცოლი პარტიასთან ქმრის გამო ჩიოდეს. ჩემს მონაწილას სანამ არ მიიღებთ, სატანის მუქარა მზეს დაგიბნელებთ!

მომვლელი: (სტალინს ხელს კიდებს) საკმარისია, ამხანაგო სტალინ! წამოდით, ინექციის გაკეთების დროა!

სტალინი: არა, არ მინდა ინექცია!

მომვლელი: მაშ, ამდენ სისულელეს რატომ როშავთ?

ვენერელი: (ფანჯრიდან ბრუნდება) ის ხომ ცუდს არაფერს ამბობს!.. მას მხოლოდ მშვენიერი ოცნება სურს!

მომვლელი: (ხელს უშვებს სტალინს, ვენერელთან მიდის და მაგიდაზე უთითებს) ისაუზმე!.. დროზე მიდი და ჭამე!

ვენერელი: არ მშია.

მომვლელი: არ მაინტერესებს გშია თუ არა! საუზმ უკვე მზადაა და შენ თუა რ შეჭამ, არც არავინ დააკარებს პირს! მიდი, დაჯექი და ჭამე!

მომვლელი ვენერელსა და ფანჯარას შორის დგას. ვენერელი მიდის და მაგიდასთან ჯდება. მომვლელი ფანჯრიდან გას გახედავს, შემდეგ მაგიდას გადმოხედავს.

(ბრაზმორული) ყველამ შეჭამეთ საუზმე! (სტალინს) შენ კი, დაჯექი შენს ადგილას. ხმა, კრინტი! თორემ ინექციას გაგიკეთებ! (გადის).

სარა ბერნარი: (ნაღვლიანი უყურებს მათ) საბრალო იოსები...

სტალინი: უარესსაც ვიმსახურებ!

ცოლ-ქმარი: (სარას) იცი... გთხოვ ჩემს ქმარზე ცუდს ნუ იფიქრებ... იგი ძალიან აფასებს ხელოვნებას, შექსპირიც უყვარს... უბრალოდ, ცოტა მოუსვენარია; არავის ენდობა... რადგან, როგორც იოსებ ვისარიონოვიჩი ამბობს, ისეთ სამყაროშივეცხოვრობთ, კაცი თავის თავს ვერ ენდობა...

სარა ბერნარი: (იღიმის) არა უშავს... ჯავრს გულში დედაჩემივით, სინორა კაპულეტით, არ ვიდებ...

ვენერელი: (კარისკენ იყურება) იქ არავინაა (დგება, მათკენ ხელებს იწვდის) დღეს მე ვარ მორიგე. მომეცით აბები...

ყველა სასწრაფოდ იღებს აბებს. სარა გულ-მკერდიდან, სტალინი ჩექმის გადანაკეციდან, ცოლ-ქმარი კაბის ქამრიდან, და ვენერელს აძლევენ. ვენერელი სცენის მარცხნივ ტუალეტისკენ გარბის.

სტალინი: ამ იდიოტებს ჰგონიათ მათ მოცემულ აბებს ვსვამთ.

სარა ბერნარი: დაე, ეგრე ეგონოთ...

ტუალეტის ჩარეცხვის ხმა ისმის

ცოლ-ქმარი: აი, დილის დოზაც!

სინათლე ქრება

სურათი 3

ნაშუადღევი. ფსიქიატრიული საავადმყოფო. მთავარი ექიმის კაბინეტი. მთავარი ექიმი, ექიმი, სლემ 13, მომვლელი. მთავარი ექიმი ოთახში ბოლოთას ცემს

მთავარი ექიმი: ყველა ადამიანი ორპირია, ერთს ამბობენ, გულში კი სხვა უდევთ!.. ვინმე ერთ წუთს რომ ერთგულეზას გეფიცება, მეორე წამს გაგცემს... სიხარბე ყველა სულიერ ფასეულობას ჯაბნის!.. როგორც ვხედავ, გიჭზე ბედნიერი არავინაა. აი, იმ ქალს ჰგონია, რომ სარა ბერნარია და ბედნიერად ცხოვრობს თავის გამოგონილ სამყაროში. მეორე ირწმუნება ვენერადან ვარო და, რადგან ამ ქვეყნის არაფერი გაეგება, ნეტარებით ოცნებობს დაბრუნდეს თავის მშვენიერ პლანეტაზე... განა არის ამ წუთისოფლის შესახებ არაფრის ცოდნაზე დიდი ნეტარება? ერთ-ერთი ამბობს მე ცოლი ვარ და ჩემი ქმარიც მე ვარო! ამაში რა უნდა იყოს კარგი? არც არაფერი!.. მაგრამ თავად რაც უნდა იმას გააკეთებს ცოლიც და ქმარიც! ასე რომ, საკამათოც არაფერია!.. არავითარი ყვირილი, ისტერია! ამაზე დიდი ბედნიერება რაღა უნდა იყოს? თავად წყვეტ ყველაფერს, როგორც გინდა და სადაც გინდა წახვალ ან არ წახვალ, რაც გაგიხარდება იმას იყიდი. ჩვენი საბრალო სტალინიც კი ბედნიერია. მთელი ამ ბოდიშებისა და ვედრების მიუხედავად, გულის სიღრმეში მაინც ამაყობს: შემომხედეთ, მე ოსებ ბესარიონის ძე სტალინი ვარ! (ჩერდება) ჩემს გულში კი სადაა სიამაყის მარცვალი? თვრამეტი წელია აქ მთავარი ექიმი ვარ და რა? ყოველთვის, როცა მინისტრს, მის მოადგილეს ან ჯანდაცვის რაიონული განყოფილების უფროსს ცვლიან, შიშისგან გული მიკანკალებს მეც არ გამაგდონ-მეთქი!.. ისეთ სამყაროში ვცხოვრობთ, კაცი საზოგადოებრივ მდგომარეობას რომ დაკარგავს, მერე არც სახლში აგდებს ვინმე რამედ! რა მელის სამომავლოდ? რა და ოჯახში პატივისცემის დაკარგვა... (სლუკუნებს, ისევე ბოლოთას ცემას იწყებს) რაიმე გრძნობა თუ მაქვს გულში? არავითარი! სიყვარულით მაინც თუ მიყვარს ვინმე? არავინ! შეხვედრებზე მთელი ეს უაზრო ლაპარაკი სამედიცინო პროგრესის შესახებ... რა პროგრესზეა ლაპარაკი, ქათმის გრიპსაც კი ვერ უმკლავდება მთელი მსოფლიო!.. მე კი მორჩილად ვუკრავ ტაშს!.. ჩვენი ვენერელის არ იყოს, ჯანდაცვის რაიონული განყოფილების უფროსი ჩვიდმეტი წელია მომჩერებია და ჩემს ქება-დიდებას ელის. ხოდა მეც ვასხამ ხოტბას, სხვა რა გზა ამქვეს? ასეთი ცხოვრება ვის რად უნდა? (ცხვირსახოცს იღებს და თვალებს იმშრალავს) შინაგანი ხმა მეუბნება, _ მოდი ერთ ღამეს და საავადმყოფოს ჭიშკართან ჩამოიხრჩვე თავიო! ღმერთმანი, ალბათ ეგრეც მოვიქცევი! (ერთი-ორჯერ ამოისლუკუნებს)

კარზე კაკუნია

(სწრაფად იმშრალავს თვალებს) მობრძანდით.

ექიმი: (შემოდის) შეიძლება?

მთავარი ექიმი: რა ხდება?

ექიმი: ახალი პაციენტი.

მთავარი ექიმი: (თვალეებს ისრებს) ისევ რაღაც ჩამივარდა თვალში... ახალი პაციენტი ვინდა?

ექიმი: კოსმოსიდანაა.

მთავარი ექიმი: მაინც რომელი ადგილიდან?

ექიმი: ამბობს, ვან...ვან... (ხელში რომ უჭირავს, იმ ქალაქში იხედება და ნელა ამოიკითხავს) ვან-დერ-პრან-დურიდან ვარო.

მთავარი ექიმი: საიდანო?

ექიმი: (კითხულობს) ვან-დერ-პრან-დურ... ვანდერპრანდურიდან.

მთავარი ექიმი: არსებობს ასეთი პლანეტა?

ექიმი: (მხრებს იჩეჩს) მე რა ვიცი.

მთავარი ექიმი: ეს ჭკუანაკლულები რა რთულ სახელებს იგონებენ... სომხურად ჟღერს ხოლმე. გეგონება ვენერელი არ გვეყოფოდა, ახლა კიდევ ეს ვან... ვან...

ექიმი: (კითხულობს) ვან-დერ-პრან-დური.

მთავარი ექიმი: ვან-დერ-პრან...

ექიმი: (კითხულობს) პრან...

მთავარი ექიმი: ვან-დერ-პრან-დურელი მოდის. კარგი, დაარეგისტრირე და დააბინავე. პალატაში გავსინჯავ.

ექიმი: საქმე ის არის, რომ არანაირი საბუთი არ აქვს.

მთავარი ექიმი: რას გულისხმობ? საერთოდ არ აქვს დოკუმენტები? ვინ მოიყვანა აქ?

ექიმი: პოლიციამ. მათაც ვერ დაადგინეს მისი ვინაობა.

მთავარი ექიმი: ესე იგი არც ნათესავები ჰყავს, არც მეზობლები, არც ნაცნობები და საერთოდ არავინ, ვინც იცნობს?

ექიმი: ასეა.

მთავარი ექიმი: გასაგებია... უცხოპლანეტელებს როგორც წესი, საბუთები არ აქვთ. ეს სენის ფსიქოლოგიური ნიშან-თვისებაა. ან, უფრო სწორად, ამ ნიშან-თვისების გამოხატულება. ხვდები?

ექიმი: რა თქმა უნდა...

მთავარი ექიმი: (თავისთვის) ო, აბა როგორ, შენისთანა ჭკუის პატრონს რაღა თქმა უნდა გესმის!.. (ხმამაღლა) ასეთები თავიანთ საბუთებს ანადგურებენ და შემდეგ გაიძახიან, მართლა სხვა პლანეტიდან ვარ, არაფერი მესაქმება დედამიწასთანო. ვენერელი ხომ იცი? ზუსტად ჩვიდმეტი წელია აქ არის, საბჭოთა კავშირის დროიდან! მაშინ ახალი დანიშნული ვიყავი მთავარ ექიმად... ის კი ჯერ კიდევ გაიძახის _ ვინმე აუცილებლად მომავითხავს ჩემს პლანეტაზე წასაყვანადო! ვან... ვან...

ექიმი: (კითხულობს) ვან-დერ-პრან-დური.

მთავარი ექიმი: აგრესიული ხომ არ არის?

ექიმი: არა, პირიქით, ძალიან თავაზიანია.

მთავარი ექიმი: ეგეც ავადმყოფობის ნიშანია!.. ხომ გესმის?

ექიმი: რა თქმა უნდა...

მთავარი ექიმი: (გვერდზე) ო, გესმის, აბა რა! (ხმამალლა) კარგი, მომიყვანე და გავესაუბრები.

ექიმი გადის

ბედნიერი!.. აღარაფერი ახსოვს... არც ოჯახი, არც სამსახური და აღარც ნაცნობები! ამაზე უკეთესი რა უნდა იყოს? ამბოს სხვა პლანეტიდან ვარო და მორჩა! გამოიგონა მშვენიერი ადგილი და ცხოვრობს იქ თავისთვის!.. ჩვენ კი ვიცით რომ გიჟია, მაგრამ თვითონ წარმოდგენაც არ აქვს! *კარზე კაკუნია* მობრძანდით

ექიმი, მომვლელი და სლემ 13 შემოდის

სლემ 13: გამარჯობა! (ყურადღებით ათვალიერებს ოთახს)

მთავარი ექიმი: გაგიმარჯოს, გაგიმარჯოს მეგობარო, მოდი, დაჯექი...

სლემ 13: გმადლობთ. (სავარძელზე ჯდება)

მთავარი ექიმი: (მეორე სავარძელზე ჯდება) როგორ ბრძანდებით?

სლემ 13: არა მიშავს... თქვენ როგორ ბრძანდებით?

მთავარი ექიმი: მე აი, ასე! (ცერა თითებს უჩვენებს და ილიმის) მშვენივრად!

ექიმი: (გვერდზე) აბა როგორ იქნები? თვრამეტი წელია მთავარი ექიმი ხარ და მშვენივრად გრძნობ თავს!..

მთავარი ექიმი: ცხოვრება საუცხოო რამაა! ყოველთვის უნდა გიხაროდეს სიცოცხლე, თითოეული წუთით უნდა ტკბებოდე! ასე არ არის?

ექიმი: (გვერდზე) შენთვის ეგრეა!..

მთავარი ექიმი: ხომ ასეა?

სლემ 13: დარწმუნებული ვარ, რომ მასეა.

მთავარი ექიმი: როდის ჩამობრძანდით?

სლემ 13: საიდან?

მთავარი ექიმი: ვან... ვან...

ექიმი: (კითხულობს) ვან-დერ-პრან-დურ...

მთავარი ექიმი: დიახ, დიახ, ვან-დერ-პრან-დურიდან?

სლემ 13: თქვენი დროის ზონის მიხედვით, რვა დღის წინ.

მთავარი ექიმი: ძალიან კარგი!.. რა კარგად შევისწავლიათ ჩვენი დრო! ყოჩაღ!

სლემ 13: თქვენს პლანეტაზე ჩამოსვლამდე, რაც შეგვეძლო ყველაფერი შევისწავლეთ მის შესახებ: თქვენი ენა, მეცნიერული განვითარება, გეოგრაფია...

მთავარი ექიმი: შესანიშნავია, შესანიშნავი!.. თქვენ, რაღა თქმა უნდა, სხვა ენა გაქვთ...

სლემ 13: ბუნებრივია...

მთავარი ექიმი: საინტერესოა, მაგალითად, როგორ ამბობთ გამარჯობას თქვენს ენაზე?

სლემ 13: ჩვენს რომელ ენაზე?

მთავარი ექიმი: რომელ ენაზე? ხომ თქვით ჩვენი ენა გვაქვსო...

სლემ 13: დიახ, მაგრამ ჩვენ ორი ენა გვაქვს. ერთზე ვსაუბრობთ, მეორე კი ტელეპათურია.

მთავარი ექიმი: მოდი, სასაუბრო ენით დავიწყეთ. აბა, როგორ ამბობთ გამარჯობას?

სლემ 13: ეე-ოოორრრ!..

მომვლელი: (ექიმს ყურში ეჭურჩულება) პირდაპირ ვირის ყროყინია...

ექიმი: (გვერდზე) საკმარისია!

მთავარი ექიმი: საოცარია!.. (იმეორებს) ეე-ოოორრრ...

სლემ 13: მშვენივრად გამოგდით.

მომვლელი: (გვერდზე) რატომაც არა, ვირის ყროყინია!..

მთავარი ექიმი: ახლა ტელეპათურად მითხარით სალამს როგორ ვუპასუხო. რა ხდება?

სლემ 13: (დარცხვნილი) ჩემი ტელეპათური არხი სამი დღის წინ დავხურე.

მთავარი ექიმი: თქვენი ტელეპათური არხი დახურეთ? კი მაგრამ, რატომ?

სლემ 13: (დარცხვნილი) იმიტომ რომ... ვწუხვარ...

მთავარი ექიმი: მითხარი, ნუ გერიდება... მაინც, რატომ დახურე შენი ტელეპათური არხი?

სლემ 13: რადგან... რადგან გული მეტკინა თქვენი პლანეტის ხალხის ფიქრები რომ წავიკითხე...

მთავარი ექიმი: საინტერესოა... (ექიმს და მომვლელს) გესმით?

ექიმი: რა თქმა უნდა...

მომვლელი: (თავს უქნევს) დიახ...

მთავარი ექიმი: (გვერდზე) მატყუარები! (ხმამაღლა) ესე იგი, საშინლად ეტკინა გული ჩვენი პლანეტის მცხოვრებთა ფიქრები რომ მოისმინა... რატომ? (სლემ 13-ს) შეგიძლიათ აგვიხსნათ?

სლემ 13: შემძლია, მაგრამ...

მთავარი ექიმი: მაგრამ რა?

სლემ 13: ვშიშობ, გეწყინებათ...

მთავარი ექიმი: მაგაზე ნუ წუხხართ! ცხოვრება ხომ მშვენიერია, ამიტომ არაფერი მეწყინება!

სლემ 13: მაშინ შემძლია აგვიხსნათ. მაგრამ, გთხოვთ, თქვენს თავზე ნუ მიიღებთ.

მთავარი ექიმი: მაგაზე არ იდარდოთ.

სლემ 13: იცით... თქვენი ხალხი ერთს ფიქრობს და სხვას ამბობს... ამბობენ რა ლამაზიაო, მაგრამ გულში ფიქრობენ, რომ უშნოა... ხმამაღლა იტყვიან კარგიაო, მაგრამ სინამდვილეში ცუდად მიაჩნიათ... ამბობენ "მიყვარს", მაგრამ ფიქრით კი ფიქრობენ მძულსო...

მთავარი ექიმი: კარგი... და რა თქვენი სახელი?

სლემ 13: (ცოტა დაბნეული) მე სახელი არ მაქვს...

მთავარი ექიმი: ეგ როგორ? არა, მეგობარო, ეგ წარმოუდგენელია. როგორ შეიძლება სახელი არ გქონდეს?

სლემ 13: ძალიან უბრალოდ. ჩემს პლანეტაზე უსიტყვოდაც გვესმის ერთმანეთის, სახელები არაფერში გვჭირდება.

მთავარი ექიმი: მაშ, თქვენს პლანეტა... ვან... ვან...

ექიმი: (კითხულობს) ვან-დერ-ფრან-დურ

მთავარი ექიმი: დიახ, ვან-დერ-ფრან-დურზე სახელები არ გჭირდებათ... საოცარია... (ექიმს) იწერთ ამ ყველაფერს?

ექიმი, სწრაფად წერს წიგნაკში, თავს უქნევს

მაგრამ ჩვენს პლანეტაზე სახელი აუცილებელია, ჩემო მეგობარო, ხომ გესმით?

სლემ 13: (ღრმად ამოიოხრავს) მესმის... კარგით, თუ ასეა ჩემი ნომრით მომმართეთ...

მთავარი ექიმი: რას გულისხმობთ, თქვენი ნომრით?

სლემ 13: ჩემს პლანეტაზე ნომრები გვაქვს. ამას ბედნიერების კოეფიციენტი ჰქვია. ეჰ, როგორ აგისხნათ?.. ჩვენთვის ადამიანის მოვლინება ბედნიერების დაწყებასთან ასოცირდება... (ხელს ჩაიქნევს) ეჰ, დედამიწაზე ამაზე ლაპარაკს აზრი არ აქვს... შეგიძლიათ ჩემი ნომრით მომმართოთ.

მთავარი ექიმი: (ექიმს, გვერდზე) ხომ ყველაფერს იწერ?

ექიმი სწრაფად იწერს და თავს უქნევს

აჰა, ესე იგი თქვენი ნომრით... ხომ? ამჯერად საკმარისია... მახსოვს, გვყავდა ასეთი ნომრიანი პაციენტი...

სლემ 13: (დაინტერესებული) მართლა? საიდან ჩამოფრინდა?

მთავარი ექიმი: სამსართულიანი შენობიდან, პირდაპირ თავით... და ამის შემდეგ გაუჩნდა ნომერი... და თქვენი ნომერი რა არის?

სლემ 13: 359 876 544 – კვადრატში _ 957 573 _ კუბში _ 639 843 _ სლემ _ 13

მთავარი ექიმი: არა, ჩემო ძვირფასო, ეგ ძალიან გრძელია...

სლემ 13: მართალი ხართ, თქვენთვის მეტისმეტად გრძელია, მოდით, უბრალოდ სლემ 13 იყოს.

მთავარი ექიმი: სლემ 13... მაგრამ 13 ხომ უბედურების მომტანია!

სლემ 13: რა?

მთავარი ექიმი: უბედურების მომტანი!.. ეს არ გადარდებთ?

სლემ 13: (ილიმის) თქვენ ძალიან უხნაური ხართ...

მთავარი ექიმი: მე ვარ უცნაური?

სლემ 13: საერთოდ ყველა დედამიწელი! ძალიან უცნაურები ხართ... ეს რა ფსიქოლოგია? მხოლოდ 13-ზე არ ვამბობ, ზოგადად ვლაპარაკობ... ამიტომაც არ ხართ ბედნიერები.

მთავარი ექიმი: (სერიოზულად) პირიქით! ჩვენ ძალიან ბედნიერი ხალხი ვართ! ჩვენ კომუნისტური იმპერია დავამარცხეთ!.. დამოუკიდებელ რესპუბლიკაში ვცხოვრობთ! ძალიანაც ბედნიერები ვართ!

სლემ 13: ოო, თუ ასეა უნდა მოგილოცოთ!

მთავარი ექიმი: მე? რისთვის?

სლემ 13: რადგან ჯერ ერთ ბედნიერ ადამიანსაც არ შევხვედრივარ დედამიწაზე!.. თქვენ ერთს ამბობთ, მაგრამ გულში კი სხვა გიდევთ!..

მთავარი ექიმი: ამასაც იწერთ?

ექიმი: (დგას და იწერს) ვიწერ, ვიწერ...

მთავარი ექიმი: (მხრებს იჩეჩს) კარგი... (სლემ 13-ს) ახლა მისამართი გვითხარი...

სლემ 13: თქვენს პლანეტაზე მისამართი არ მაქვს. შემძლია ჩემი მისამართი მოგცეთ ვანდერპრანდურზე.

მთავარი ექიმი: ძალიან კარგი!.. მაგრამ ჩვენ იქ ვერ გავფრინდებით, ხომ ასეა? ჩვენს პლანეტაზე რა მისამართი გვაქვს ის გვითხარი...

სლემ 13: გასაგებია... თქვენ აქ ასეთი ცნება გაქვთ _ “სიგიჟე”...

მთავარი ექიმი: და თქვენ რა, არ გაქვთ?

სლემ 13: არა...

მთავარი ექიმი: მაშ, თქვენს პლანეტაზე ყველა ჭკვიანია, არა?

სლემ 13: უამრავ პლანეტაზე ვყოფილვარ, მაგრამ მხოლოდ თქვენთან წავაწყდი განსხვავებას “ჭკვიანსა” და “გიჟს” შორის... (მეტი ენერგიულობით) ვინ წყვეტს ვინ არის ჭკვიანი და ვინ გიჟი? რატომ მიიჩნევა ერთი ადამიანის საუბარი მახვილგონიერების ნიშნად, ხოლო სხვის ფსიქიკური აშლილობის? ვინ წყვეტს ამას? ადამიანი? როგორ შეიძლება ერთმა ადამიანმა გადაწყვიტოს ეს გონიერია, ის კი შემლილიო? ასეთი დოგმით როგორ შეგიძლიათ ცხოვრება?

მთავარი ექიმი: კარგით, თქვენს შეხედულებებს ამის შესახებ მოგვიანებით მოვისმენთ. ახლა, თუ შეიძლება, პლანეტა დედამიწაზე თქვენი მისამართი გვითხარით.

სლემ 13: (ილიმის) გასაგებია, ფიქრობთ, რომ გიჟი ვარ. პოლიციამაც ეგ იფიქრა, ამიტომაც მომიყვანა ფსიქიატრიულში და ჩემი თავი თქვენ გადმოგაბარათ. ყველაფერი მშვენივრად მესმის... თქვენი მეცნიერება და ტექნოლოგია ისეთი პრიმიტიულია, რომ ვერც წარმოგიდგენიათ როგორ ჩამოფრინდებოდა ვინმე შორეული პლანეტიდან, რომელიც ჯერ არც აღმოგიჩენიათ. ასეთ დროს თავს იტყუებთ და ისეთ ცნებებს იშველიებთ, როგორც “სიგიჟეა”. თუ ვინმეს სიტყვების ან ქცევის ახსნა არ შეგიძლიათ, ესე იგი ეს ადამიანი გიჟია და გათავდა. მაგრამ მე თქვენ ვერ მოგატყუებთ!.. მე მართლა არ მაქვს მისამართი თქვენს პლანეტაზე. თქვენი დროის ზონის მიხედვით რვა დღის წინ ჩამოვედი ამ პატარა პლანეტაზე, რომელსაც დედამიწას უწოდებთ, და

ამ პატარა ქვეყანა აზერბაიჯანში მოვედი. ტექნიკური გაუმართაობის გამო ჩვენი კოსმოსური ხომალდი ვანდერპრანდლურზე დაბრუნდა და მეც შემთხვევით დავრჩი აქ. ორი დღე ჩემთვის დავეხეტებოდი ამ ქალაქში... შემდეგ პოლიციამ თავის მანქანაში ჩამსვა და განყოფილებაში წამიყვანა; ექვსი დღე ყყავდი იქ, სანამ დაკითხვას აწარმოებდნენ, შემდეგ აქ მომიყვანეს. მაგრამ, გარწმუნებთ, ჩვენი კოსმოსური ხომალდი მალე დაბრუნდება ჩემს წასაყვანად. ეჭვიც არ შეგეპაროთ!

მთავარი ექიმი: არც მეპარება, მაგრამ აქ ერთი ვენერელიც გყავს, რომელიც იმავეს ირწმუნება.

სლემ 13: ვენერელი? ვენერა ხომ თქვენთან ძალიან ახლოსაა.

მთავარი ექიმი: ხო, მაგრამ უკვე ჩვიდმეტი წელია მის წასაყვანად არავინ მოსულა.

სლემ 13: ესე იგი სხვა გრაფიკი ჰქონიათ.

მთავარი ექიმი: სხვა გრაფიკი?

სლემ 13: რა თქმა უნდა. თქვენი ასტრონავტები საკუთარი პლანეტის იქით ვერც მიფრინავენ, მაგრამ ყველას თავისი გრაფიკი აქვს. ზოგი სამი დღე რჩება კოსმოსში, სხვები სამი თვე, ასე არ არის?

მთავარი ექიმი: დიახ, მართალი ხართ.

სლემ 13: იქნებ ვენერელებსაც თავიანთი გრაფიკი აქვთ... ვიცი თქვენთვის რთულია ამ ყველაფრის გაგება, მაგრამ, გარწმუნებთ, ჩემს წასაყვანად ძალიან აძლე მოვლენ.

მთავარი ექიმი: კარგი, ყველაფერი გასაგებია ძვირფასო ვან... ვან...

ექიმი: (კითხულობს) ვან-დერ-პრან-დურ...

მთავარი ექიმი: ჩემო ძვირფასო ვან-დერ-პრან-დურელო მეგობარო! კეთილი იყოს თქუნი მობრძანება სხვა პლანეტიდან!.. (დგება და სლემ 13-ს ხელს ართმევს) ახლა კი, თქვენი ნებართვით, თქვენს ოთახში მიგაცილებენ (ექიმს თავით ანიშნებს)

სლემ 13: (ნაღვლიანი წამოდგება) მესმის... /ექიმი და სლემ 13 გადიან. მთავარი ექიმი მომვლელს აჩერებს/

მთავარი ექიმი: ერთი წუთით მოიცადე! /მომვლელი ჩერდება/ (მომვლელთან მიდის) უკანასკნელად გაფრთხილებ! უკანასკნელად-მეთქი, გესმის?! (თითს უქნევს) მოეშვი ამას!..

მომვლელი: კი მაგრამ, რა დავაშავე?

მთავარი ექიმი: რა დავაშავეო? გუშინ ორი იოგურტი და სამი კვერცხი მოიპარე!..

მომვლელი: მე... მე...

მთავარი ექიმი: საკმარისია! გეყო პაციენტების საჭმლის თავივით მოპარვა! გაახილე თვალები, მიიხედ-მოიხედე! ნახე, როგორი მშვენიერია ცხოვრება! სიცოცხლე უნდა გიხაროდეს!.. იცინე, იმღერე, იცეკვე!.. შენ კი ამის მაგივრად თავივით ქურდობ!..

მომვლელი: მე...

მთავარი ექიმი: (თითს უქნევს) იცოდე, უკანასკნელად გაფრთხილებ!

მომვლელი: გასაგებია! ღმერთმანი, მუდამ ვიძახდი თქვენზე, რა ჰუმანური კაცია-მეთქი! თქვენ ადგილას სხვა დიდი ხნის წინ გააგდებდა ჩემნაირ იდიოტს!.. თქვენ კი...

მთავარი ექიმი: მაგრამ მე არ დაგიტოხოვე, და იცი რატომ?

მომვლელი: იმიტომ რომ ჰუმანური ხართ!

მთავარი ექიმი: არა! იმიტომ რომ შენ თუ გაგადებ, სხვა შენზე უარესი იქნება! შენ ხუთ სოსისს იპარავ, ის კი თხუთმეტს მოიპარავს და პაციენტებს აღარაფერს დაუტოვებს! გესმის?

მომვლელი: ჩემნაირმა უბედურმა რა უნდა გააკეთოს? სხვა პლანეტაზე კი არ ვცხოვრობ, დედამიწაზე ვარ.

მთავარი ექიმი: უკანასკნელად როდის ნახე კომედია თეატრში?

ხედავ? ცხოვრებაში მხოლოდ ნივთიერი სარგებელი გაინტერესებს. ამიტომაც იპარავ თავივით პაციენტების საჭმელს. კვერცხები!.. კვერცხს რაღა ფასი აქვს, მაგასაც რომ იპარავ?

მომვლელი: მე პაციენტებზე ვზრუნავ!

მთავარი ექიმი: მათი კვერცხების მოპარვით?

მომვლელი: მეშინია ქათმის გრიპი არ შეეყაროთ!..

მთავარი ექიმი: (მოთმინებას კარგავს) იცოდე, საბოლოო გაფრთხილება!

მომვლელი: მესმის!

მთავარი ექიმი: გაეთრიე! /მომვლელი გადის/ ოჰ!.. (საწერ მაგიდასთან ჯდება და თვალებს ხუჭავს) თავისი თელეპათური არხი დაკეტა... ხალხის ფიქრების წაკითხვა არ სურს... აი, შენი გიჟიც! ხალხმა გააგიჟა, აბა სხვა ვინ?! ხალხის ფიქრებმა და ქმედებებმა!.. იქნებ ოდესღაც, წარსულში მასწავლებელი იყო, ან მეცნიერი, ან საერთოდ ექიმი! ახლა კი ვინ არის? ახლა არც მასწავლებელია, აღარც მეცნიერი და აღარც ექიმი. ახლა უბრალოდ ბედნიერი კაცია! როცა უნდა დახურავს ამ თავის ტელეპათურ არხს... ვინც გინდა მიან იდარდოს ამ დანაშაულებებზე, მხეცობაზე, ფარისევლობაზე, სულ არ ადარდებს!.. (ქვითინებს) ეჰ!.. (უარყოფის ნიშნად ხელს იქნევს, ფანჯარასთან მიდის და გარეთ იხედება) ეშმაკი ჩამძახის ფანჯრიდან გადახტო!.. ღმერთმანი შეიძლება ამსეც მოვიქცე!.. უბრალოდ მეშინია არასწორად არ გამიგონ...

სურათი 4

ნაშუადღევი. ფსიქიატრიული საავადმყოფო. დასასვენებელი ოთახი. სარა ბერნარი, ვენერელი, სტალინი, ცოლ-ქმარი, სლემ 13, ექიმი. სარა ბერნარი დივანზეა წამოწოლილი, ხელი თავქვეშ აქვს ამოღებული. ცოლ-ქმარი მარტო ზის პატარა მაგიდასთან. სტალინი ერთ-ერთ კუთხეში ზის სკამზე და წიგნს კითხულობს. ვენერელი ფანჯარასთან დგას და ცას გაჰყურებს.

ცოლ-ქმარი: (კაცის ხმით) რატომ ხარ ჩემზე ნაწყენი, ძვირფასო? რისი გულისთვის? მე ხომ ასე ძლიერ მიყვარხარ, შენ კი ისევ ცუდ განწყობაზე ხარ... რატომ? (სწრაფად დგება და მაგიდის მეორე მხარეს ინაცვლებს, ჯდება, საკუთარი ხმით) არა... შენზე სულაც არ ვარ ნაწყენი, ძვირფასო... საერთოდ რაზე ლაპარაკობ ჩემო თვალის ჩინო? ჩემო გულის სინათლევ! მაგრამ, ხომ იცი... ძვირფასო, მინდა ჩემმა ძვირფასმა მეუღლემ ლამაზი მელოდია დაუკრას... მაშინ აღარ მოვიწყენთ... დიახ, ლამაზი მელოდია მინდა დაუკრას ჩემმა ქმარმა და საამო სიმღერები იმღეროს... მსოფლიოს უკანასკნელი სიახლეები მინდა მიამბოს, მთელი სადამო სახლში ჩემთან ერთად გაატაროს... (სწრაფად დგება, ისევ ძველ ადგილას ჯდება, კაცის ხმით) მაშ, ქმარი კი არა ტელევიზორი გდომებია!.. (სწრაფად შემოუვლის მაგიდას, ჯდება, საკუთარი ხმით) გაბრაზებული ხარ ჩემზე, ძვირფასო? ნუ გამიჯავრდები... თორემ წაგეჩხუბები, ჰმ!.. /მთელი სცენის განმავლობაში ცოლ-ქმარი განაგრძობს მაგიდასთან გადაჯდომ-გადმოჯდომას, მაგრამ მისი ხმა არ გვესმის/

სტალინი: (ბრაზმორეული მუშტს ურტყამს მაგიდას) უყურე ერთი, რას ამბობენ ჩემზე!.. (ვენერელს) ხედავ? /ვენერელი ფანჯრიდან ბრუნდება, რომ შეხედოს/ წერენ, რომ პარანოიდი ვიყავი!.. ასეთი უსირცხვილოები

როგორ არიან? ასეთი რამის თქმით ხომ სინამდვილეში მამართლებენ. ამდენი სისხლი თურმე იმიტომ დავევარე, რომ პანაროიდი ვიყავი!.. ეს იმას ნიშნავს, რომ მე დამნაშავე არ ვარ, ასე არ არის?.. ლოგიკურად ასე გამოდის თუ ავად ვიყავი!.. (მხურვალედ აპროტესტებს) არა! არ ვყოფილვარ პარანოიდი!.. არაფერიც არ მჭირდა! სრულ ჭკუაზე მყოფი ჯალათი ვიყავი!.. /ვენერელი ბრუნდება და ფანჯრიდან იხედება/ ადამიანის და ბუზის მოკვლა ერთი იყო ჩემთვის! მაგრამ არა იმიტომ, რომ პანაროიდი ვიყავი, არა! რატომ არ ესმით?! ხალხი კი არა, ძალაუფლება მიყვარდა! სინამდვილეში ფანატიკოსი კომუნისტი ვიყავი, ფანატიკოსი ბოლშევიკი, დიახაც! მაგრამ მთელი ამ ფანატიზმის უკან, ჩემს ქვეცნობიერში, უძლეველი ენერგია იყო. რატომ მიყვარდა ძალაუფლება? იმიტომ, რომ ხალხს ძლიერის ეშიანია! ჩემიც ეშინოდათ!.. რადგან ეშინოდათ, მათ ვუყვარდი კიდევ! როგორი ფორმაც არ უნდა ჰქონდეს საზოგადოებას: პრივიტივიზმის, მონობის, ფეოდალიზმის, სოციალიზმის, კაპიტალიზმის _ არ აქვს მნიშვნელობა, სინამდვილეში ხალხი ჯუნგლების წესით ცხოვრობს! ეს მათ სისხლში აქვთ, ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი!.. არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ადამიანი უნივერსიტეტს დაამთავრებს, დოქტორის ხარისხს აიღებს, ნობელის პრემიას თუ მოიგებს, აკვნიდან სამარემდე ჯუნგლის კანონებით ცხოვრობს! გთხოვთ, გვედრებით მიიღეთ ჩემი გულწრფელი მონანიება! ხალხმა შემინდო ჩადენილი დანაშაულებები, როცა თქვა, რომ ეს კავკასიიდან მოსული პანაროიდი ქართველის ქმედებები იყო მხოლოდ, ფსიქიკურად შერყეული და გაშმაგებული ადამიანის ნამოქმედარი!.. განა შეეძლო ერთ შეშლილ კავკასიელს ამხელა იმპერია აღემართა რუსებზე, ლენინის, ტროცკის, ბუხარინის და ზინოვიევის მსგავსთა მალა? (ვენერელს) გეკითხები ამხანაგო ვენერელო, განა ეს შესაძლებელია?

ვენერელი: (შეხედავს) აბა, რა გითხრა?.. თქვენს პლანეტაზე სულ ორმოცდაერთი დღეა რაც ვარ... თუმცა თქვენ დროით უკვე ჩვდიმეტი წელი გავიდა... სიმართლე რომ გითხრა, ამ წუთას მიჭირს ასეთ სერიოზულ საკითხზე მსჯელობა...

სტალინი: მართალია... ისე, ჩემი მონანიება შენ არც გეხება...

ვენერელი: მაგრამ ძალიან ვაფასებ!..

სტალინი: უდრმესი მადლობა!.. (ამოიოხრავს) შენთვის რა მნიშვნელობა აქვს?! შენ გაფრინდები, სხვები კი აქ დარჩებიან, დედამიწაზე!.. მინდა, რომ ყველამ ისმონოს ჩემი მონანიება და თვითონაც სინანულით იცხოვრონ! ხომ ხედავ? არავის, საერთოდ არავის არ ესმის რატომ მაწუხებს ასე სინდისი!.. რადგან მსურს მომავალში ჩემი მსგავსნი კაცობრიობას ასევე სასტიკად არ მოექცნენ!..

ვენერელი: მესმის... მართალია, ცოტა რთულია ჩემთვის, მაგრამ ძირითადად ვხვდები...

სტალინი: (სევდიანი) შენ ხომ გაფრინდები...

სარა ბერნარი: (ვენერელს) შენ იცი, რომ პარიზს მეშვიდე ციდან დავხედე?

ვენერელი: თვითმფრინავიდან?

სარა ბერნარი: (იცინის) რას ამბობ, მაშინ სად იყო თვითმფრინავები? საჰაერო ბურთიდან!.. პარიზს საჰაერო ბურთიდან დავხედე!.. ნამდვილი ზღაპარი იყო, მესიე ვენერელო, ნამდვილი ზღაპარი!.. ხშირად მახსენდება ეს მოგზაურობა... ღამით, როცა არ მეძინება, ეს მოგზაურობა წარმომიდგება თვალწინ და ყველა პრობლემა გადამვარდება გულიდან. მაშინ ჟორჟი ხატავდა ჩემს პორტრეტს, როცა დრო მქონდა მისთვის ვპოზირებდი. ერთხელ მან მითხრა, მინდა შენი თვალების გამომეტყველება უჩვეულო გარემოში ვიხილო... უცერად, აზრი მოგივიდა საჰაერო ბურთით გაფრენილიყავით... იცი, რას ნიშნავდა მაშინ ეს? დიდი გამბედაობა სჭირდებოდა, გმირობის ტოლფასი იყო!.. როგორ ავიხსნა? აი, როგორც შენ ჩამოხვედი ნევერადან, ისეთივე სარისკო იყო მაშინ საჰაერო ბურთით გაფრენა... ხოდა, მე ავედი მასზე ჟორჟ კლარინთან ერთად და გადავუფრინე პარიზს!.. ეს ნამდვილი ზღაპარი იყო, მესიე ვენერელო, ნამდვილი ზღაპარი!.. (იცინის) ის ქედმაღალი პარიზელები ჭიანჭველებით მოჩანდნენ!.. კარეტები კი მათი საზიდარი გეგონებოდა. დაუვიწყარი სასწაული ვიხილე მაშინ!..

ვენერელი: ძალიან საინტერესოა...

სარა ბერნარი: (ამოიოხრავს) რა სამწუხაროა, რომ საოცრებები წარსულს ჩაბარდა... ახლა მათი დრო არ არის, მხოლოდ სასტიკი რეალობაა... გვინდა ეს ჩვენ თუ არა!..

სლემ 13 შემოდის, ილიმის და პაციენტებს სათითაოდ ესალმება

სლემ 13: (ცოლ-ქმარის წინ ჩერდება) გამარჯობა...

ცოლ-ქმარი: გამარჯობა... (შემფოთებული) უკაცრავად ჩვენ... (მაგიდის ორივე მხარეზე უთითებს) ჩვენ ოჯახური საუბარი გვაქვს...

სლემ 13: რა თქმა უნდა, ხელს არ შეგიშლით... (ვენერელთან მიდის) გამარჯობა, როგორ ბრძანდებით?

ვენერელი: მშვენივრად! (ისევ ფანჯრიდან იხედება)

სლემ 13: წარმატებები!.. (სტალინს უახლოვდება) გამარჯობა, როგორ ბრძანდებით?..

სტალინი: (წიგნზე უთითებს) ნახე, რეებს წერენ ჩემზე?

სლემ 13: ყურადღებას ნუ მიაქცევ, მაინც აღარავის აინტერესებს წიგნები... (სარა ბერნართან მიდის და მის წინ შედგება) გამარჯობა...

სარა ბერნარი: ბონჟურ...

სლემ 13: ისევ მოწყენილი ხართ...

სარა ბერნარი: როგორი გონებამახვილი ხართ, მესიე სლემ 13... ხელად აღიქვამთ ყველაფერს... დიახ, მართლაც მელანქოლიის მორევში ვარ ჩამირული... სცენაზე მსურს ვითამაშო, მაგრამ, აბა აქ რა უნდა ვქნა?

სლემ 13: (ირგვლივ მიმოიხედავს) ხო, ეგ ადვილი არ იქნებოდა...

სარა ბერნარი: (გულაჩუყებული) რა კარგია რომ აქ ხარ... სამი დღეა, რაც მოხვედი და ყოველთვის, როცა დაგინახავ გულში იმედის სხივი ჩამიდგება ხოლმე...

სლემ 13: (ნასიამოვნები) მართლაც სასიამოვნოა, მადამ, თქვენისთანა კეთილშობილი და მომხიბვლელი ქალისგან ამის მოსმენა... (ცოტა ხანს უყურებს) თქვენს პლანეტა მარტო იმად ღირდა, რომ ტახტზე ასე წამოწოლილი მენახეთ!.. ყველა პრობლემისა და თქვენი ახირებული ხალხის მიუხედავად, ღირდა დედამიწაზე ჩამოსვლა!..

სარა ბერნარი: (ძალიან გულაჩუყებული) ჟორჟ კლარინსაც მოვწონდი ასე წამოწოლილი. იქნებ, არ გინახავთ, მაგრამ მან ჩემი პორტრეტი ზუსტად ამ პოზაში დახატა... აი, ამ წუთას ვუყვებოდი მესიე ვენერელს ამის შესახებ... ამ ნახატმა მთელი პარიზი მოხიბლა! იცით, რამდენი ხალხი მოვიდა მის სანახავად?!

სლემ 13: წარმომიდგენია!..

სარა ბერნარი: (გამოცოცხლებული) რას წარმოვიდგენდი მე, გაურკვეველი წარმომავლობის ებრაელი გოგონა, რომ მთელი პარიზი ჩემს ფერხით იქნებოდა?! (იცინის) რასაკვირველია, ამაზე ვერც ვიოცნებებდი!.. მაშინ თხუთმეტი წლის ვიყავი, გრანშამის მონასტრის დახურულ სასწავლებელში ვსწავლობდი და იცით რა იყო ჩემი სანუკვარი ოცნება? ვერც დაიჯერებთ!.. მონაზვნად აღკვეცა! დიახ, მონაზვნობა მსურდა!.. წარმოგიდგენიათ?! მე და მონაზონი! (იცინის) ბედად, ალექსანდრე დიუმამ _ მამამ, სცენაზე პირველად რომ დამინახა, თქვა, _ ეს გოგონა მსახიობადაა დაბადებული! აი, ასე იყო მესიე სლემ 13... აქ უამრავი დრო მაქვს და ხშირად ვფიქრობ ამაზე, ხანდახან ჩემი ცხოვრება სიზმარი მგონია...

სლემ 13: თქვენ ყველასგან განსხვავდებით... კეთილი და სულგრძელი ხართ...

სარა ბერნარი: გამდლობთ მესიე სლემ 13... თქვენი სიტყვები მაცოცხლებს... დიდი ხანია... დიდი ხანია ასეთი სიტყვები არ მსმენია... იცით რა მითხრა რუსეთის ყოფილმა მეფემ ალექსანდრე III-მ?

სლემ 13: საინტერესოა რა...

სარა ბერნარი: ეს სანქტ-პეტერბურგში ჩემი მოგზაურობის დროს მოხდა. სასახლეში ვიყავი მიწვეული და მეფეს რომ შევხვდი მოხდენილად გავუკეთე რევერანსი, მაგრამ ალექსანდრემ მითხრა: “ადექით, მადმუაზელ! მე უნდა მოვიხარო ქედი თქვენს წინაშე!..” დაიჯერებთ, მესიე სლემ 13?

სლემ 13: რასაკვირველია!..

სარა ბერნარი: (სევდიანად) ხედავთ, ახლა რადაც ვიქეცი? მოდი, ნაღვლიან თემებზე ნუ ვისაუბრებთ... მითხარით, თეატრი პოპულარულია ვანდერპრანდლურში?

სლემ 13: სამწუხაროდ, ჩვენს პლანეტაზე თეატრი არ არის...

სარა ბერნარი: (განცვიფრებული) რა, თეატრი არ არის?

სლემ 13: არა...

სარა ბერნარი: (შემრწუნებული) ანუ თეატრი არასდროს გინახავთ?

სლემ 13: არა... პირველად თეატრის შესახებ მაშინ გავიგე, როცა თქვენს პლანეტაზე მოხსენებებს ვკითხულობდი...

სარა ბერნარი: ოჰ, ღმერთო ჩემო!.. რა უნდა გაიგოთ ძველი მტვერდადებული მოხსენებებიდან? თეატრი ხომ ცოცხალი ორგანიზმია! მუდა მოძრავი, თეატრი ციებ-ცხელებს!.. თეატრის გარეშე როგორ უნდა აიტანო ეს უსახური ცხოვრება?

სლემ 13: მაგრამ... რაც თქვენ შეგხვდით, გონებაში წარმოვიდგინე მისი ხატება!..

სარა ბერნარი: ოჰ, ჩემო საბრალო მეგობარო!.. მოდი აქ!.. /სლემ 13 უახლოვდება/ უფრო ახლოს!..

/სლემ 13 მისკენ იხრება/ ოჰ!.. (მხრებზე ხვევს ხელს სლემ 13-ს) ჩემო საბრალო მეგობარო!.. აქამდე თეატრის გარეშე როგორ ცხოვრობდი?... (მკერდში იკრავს მის თავს) ჩემო საბრალო მეგობარო!..

სლემ 13: მე... თქვენთან შეხვედრის შემდეგ შემიყვარდა თეატრი... (მუხლებზე ეცემა) ჯულიეტაზე რომ საუბრობდით, ჩემი ტელეპათური არხი გავხსენი და სცენაზე გიხილეთ...

სარა ბერნარი: ოჰ!.. (ნასიამოვნები, თვაზე ხელს გადაუსმევს) ჩემო საბრალო, ძვირფასო მეგობარო...

სლემ 13: როგორ გიყვარდათ რომეო!.. როგორ ეალერსებოდით!.. მართლაც თქვენი გულიდან იყო ამომდინილი, “თავის ცრემლებით დე მოხანონ ჭრილობა ტიბალტს, ჩემსას დავზოგავ...”

სარა ბერნარი: (აწყვეტილებს) მეორე სურათი!.. მესამე მოქმედება, სურათი მეორე!.. და შემდეგ... (როლში შედის) “ჩემსას დავზოგავ; როცა ცრემლი მათ გაუშრებათ მე დავიტირებ ჩემს განდევნილ რომეოს მაშინ. ძიძა, ეს თოკიც გაიტანე, საბრალო კიბეც! დღეს ჩვენ გავწილდით ორივენი; ის გაამევეს, ვინც ჩემს საწოლში ღამით უნდა ამოგეყვანა. მაგრამ ქალწული ქალწულ ქვრივად მოვკვდები მალე. მაშ წამო, კიბე, შენც წამოდი, ჩემო გამდელო, ჩემს საქორწინო სარეცელში ჩავწვები ახლა, და რაკი ჩემთან ვეღარ მოვა რომეო მეტად, დეე, დიკვდილმა ქალწულობა ჩემი წაიღოს...”

შემოდის ექიმი და პაციენტებს უყურებს

ექიმი: (ხმამაღლა) რა არის ეს?! (გაბარზებული მირბის სარა ბერნარსა და სლემ 13-სკენ) რა არის-მეთქი ეს? რას აკეთებთ? ასეთი რამ აკრძალულია! ეს საავადმყოფოა, აქ პაემნებისა დგილი არ არის!..

სარა ბერნარი: (სლემ 13-ს) ხედავ?... ადექი.. ადექით მესიე სლემ 13...

სლემ 13: (მაგრად ეკვრის თავით მის მკერდს) არა, არ მინდა ადგომა...

ექიმი: რას ქვია ადგომა არ გინდა? ასეთი რამ სად გაგონილა დღისით მზისით?

სლემ 13: ცუდს რას ვაკეთებთ?

ექიმი: გინდა თქვა, რომ უფრო შორსაც გინდა შეტობო ამ დღისით მზისით?! ადექი-მეთქი! (გადაშლის წიგნაკს და იწერს) ეროტომანია...

სარა ბერნარი: (ნაზად იშორებს სლემ 13-ს) ადექი... ისინი ყველაფერს საკუთარი შეხედულებებით სჯიან... დიადი ხელოვნების სამყარო მათთვის მიუწვდომელია... /სლემ 13 ფეხზე დგება/

ექიმი: ამგვარი რამ სასტიკად იკრძალება! (სცენას გადაკვეთს, გვერდზე ამბობს) ნახეთ, ერთმანეთს როგორ ეალერსებოდნენ!.. ლამის უფრო ღრმადაც შეტოპეს ამ ხალხში... (ალმაცერად გახედავს სლემ 13-ს) მშვიდებს უფრო უნდა ადევნო თვალი... გიჟი კია, მაგრამ მომხიბვლელიცაა... (ცოლ-ქმარის წინ ჩერდება) თქვენ როგორ ხართ?

ცოლ-ქმარი: (ნასიამოვნები უღიმის) მშვენივარდ... იცით, ჩემი ქმარი კაცი კი არა ანგელოზია, ნამდვილი ანგელოზი!..

ექიმი: (ჩაფიქრებული) არც ჩემია კაცი...

ცოლ-ქმარი: აბა რა არის?

ექიმი: რა? (თავის ხელში აყვანას ცდილობს) არც არაფერი!.. საერთოდ არაფერი... (სცენის გასწვრივ სვლას განაგრძობს, გვერდზე ლაპარაკობს) შენ ქმარიც ხარ და ცოლიც! რაც გინდა იმას აკეთებ!.. გიჟმა რა იცის ნორმალური რა არის? ამ საცოდავებისთვის ადამიანი კი არა, თეთრ ხალათში გამოწყობილი საფრთხობელა ვარ... არც გრძნობები მაქვს... რა იციან, რომ ჩემი არსებობა ცხოვრება არ არის... თვის ბოლო... ხელფასი... დღე, სამუშაო... სადამოს, მეორე დღისთვის სადილის მზადება... ჩვეული ცივი ლოგინი... მეორე თვის ბოლო, ისევ ხელფასი... სულ ეს არის!.. ეს არის ჩემი ცხოვრება ამქვეყნად!.. მთელი ეს წლები ჩვეულებრივი ექიმის ხელფასის ლოდინი... და მუდამ ასე იყო! იქნებ ვინმე ოცნებობს ერთ მშვენიერ დღეს მთავარ ექიმობაზე, მაგრამ მე? ის თვრამეტი წელია მთავარი ექიმა და კიდევ თვრამეტი წელი იქნება... იმ დროს კი უკვე პენსაზე ვიქნები!.. სულ ეს არის! ერთი და იგივე სახლშიც და სამსახურშიც...

სტალინი: (ისევ მუშტს ურტყამს თავის წიგნს) იქნებ სწორად არ ვფიქრობ... იქნებ ჩემი კომუნისტური ფანატიზმი ქვეცნობიერიდან არ მომდინარეობდა? იქნებ ეს ჩემთვისაც დღესავით ნათელი იყო და ამ ძალაუფლების სიყვარულს კომუნისტური კრედოთი ვვარავდი? კარგად უნდა დავფიქრდე ამაზე. (წიგნზე უთითებს) დროის ფლანგვაა მათგან რაიმეს მოლოდინი!.. (ექიმზე უთითებს) ყველანი მისი მსგავსნი არიან!..

სლემ 13 სწრაფად მიდის ექიმთან

სლემ 13: თხოვნა ამქვს.

ექიმი: აქ ეგეთი რამ მიუღებელია!

სლემ 13: არა, სხვა რაღაც მინდა გთხოვოთ.

ექიმი: მაინც რა?

სლემ 13: მინდა შექსპირის პიესები მიშოვოთ.

სარა ბერნარი: (გაიგონებს და იქით იხედება) ოჰ!.. ჩემო ძვირფასო, ძვირფასო მეგობარო!..

სურათი 5

დილა. ფსიქიატრიული საავადმყოფო. გასასინჯი ოთახი. მთავარი ეწიმი, ექიმი, მომვლელი, ცოლ-ქმარი, სლემ 13. ექიმი და მომვლელი სხედან, მთავარ ექიმს ელიან

მომვლელი: მეფესავით გვალოდინებს მუდამ.

ექიმი: სხვას რას ელი, რა ანაღვლებს!.. (აჯავრებს) “ცხოვრება მშვენიერია!..” შენთვის, რა თქმა უნდა, მშვენიერია... არაფერი გაკლია!.. საავადმყოფოს მანქანა გაკითხავს ყოველ დილით, სამსახურში მოჰყავხარ, შენი შვილებიც მიჰყავს სკოლაში, და ამის შემდეგ იწყება საბრალო მძღოლის ნამდვილი ტანჯვა-წვალება: შენი ცოლის სასურსათო მაღაზიაში წაყვანა, შემდეგ სავაჭრო ცენტრში, სილამაზის სალონში, მეგობრებთან, საღამოს ისევ შენ გაკითხავს...

მომვლელი: (აწყვეტინებს) არა. მანქანა საღამოობით ძირითადად ცოლს და ბავშვებს ემსახურება, თვითონ ავტობუსით მიდის ხოლმე სახლში...

ექიმი: მერე რა? რა ანაღვლებს!.. სულ ხითხითებს (აჯავრებს) “ყველაფერში დადებითი მხარე ეძებ” (ბრაზმორეული) სად ჯანდაბაში ვეძებო დადებითი? ამ გიჟებში ხომ არა?

მომვლელი: დღეს ძალიან ანერვიულებული ხართ, ექიმო... ცუდ განწყობაზე ხართ, მოხდა რამე?

ექიმი: არაფერი მომხდარა. რაა გასაკვირი ამქვეყნად რომ ცუდ ხასიათზე იყო? თავად ეს სამყაროა ცუდი განწყობის მატარებელი...

მომვლელი: გასაგებია, გასაგები... ისევ დედამთილი გეწვია, არა?

ექიმი: (გაოცებული) შენ რა იცი?

მომვლელი: ჩემი ტელეპათური არხი ღია დამრჩა!

ექიმი: ხო, ჩამობრძანდა..

მომვლელი: ჩემი სიდედრი კი მარტო ერთხელ გვესტუმრა...

ექიმი: მერე, რა გინდა? ბედნიერი კაცი ყოფილხარ.

მომვლელი: (ღრმად ამოიხრავს) ერთადერთხელ გვესტუმრა და... აღარც წასულა!..

ექიმი: რა?

მომვლელი: ერთხელ ჩამოვიდა და მას შემდეგ ჩვენთან არის...

ექიმი: რამდენი ხანია?

მომვლელი: ექვს დღეში ზუსტად თერთმეტი წელი გახდება!..

ექიმი: (გულწრფელი თანაგრძნობით) შე საბრალო... (მომვლელის ხელს იღებს) რა იქნება...

მომვლელი: ვიცი, ვიცი... (ხელს უსმევს ექიმს მკლავზე)

ექიმი: (მკვახედ) შეხედე!.. /სცენის მიღმა ხმაური ისმის/

მომვლელი: მოდის! მზად ხარ?

ექიმი: ოჰ! (აჯავრებს) "მზად ხარ?" მეფე მობრძანდება!.. /მთავარი ექიმი შემოდის, ექიმი და მომვლელი წამოდგებიან/

მთავარი ექიმი: დასხედით! (ღრმად ჩაისუნთქავს) რა სასიამოვნო ატმოსფეროა აქ! თითქოს ჰაერი კი არა სიხარული ტრიალებს ამ ოთახში. ასე არ არის?

ექიმი: (გვერდზე) სულაც არა... (ხმამაღლა) რა თქმა უნდა... /მომვლელი ღრმად ჩაისუნთქავს და თავს უქნევს/

მთავარი ექიმი: (საწერ მაგიდასთან ჯდება) აქ მუდამ კარგი განწყობით უნდა იყოთ! ჩვენი პაციენტების ბედი თქვენს დადებით მუხტზეა დამოკიდებული. ისინი ხომ უბედური ხალხია! მათი ბრალი როდია, ფსიქიკურად დაავადებულები რომ არიან!.. ასეთი მწარე ბედი ეგოთ წილად... ერთს ჰგონია ფრანგი მსახიობია, რომელიც ას ორმოცდაათი წლის წინ ცხოვრობდა, მეორე უბედური კი იმდენ ხანს იყო მარტო, რომ თავის თავზე დაქორწინდა... მესამე დღედაღამ ცრემლებს აღვარღვარებს, სტალინი ვარ და ვნანობო... საცოდავი უბედურები... მოსწყვეტიან ცხოვრებას, ამქვეყნად ყველაზე ძვირფას საგანძურს. სასურველ შედეგს ვერ მივიღებთ, დადებითი განწყობა თუ არ გექნათ, თუ თქვენ თავად არ იქნებით ამ მშვენიერი ცხოვრების სიყვარულით სავსენი. ეს არ დაგავიწყდეთ! ვან... ვან...

ექიმი: (ხსნის წიგნაკს და კითხულობს) ვან-დერ-პრან-დურ

მთავარი ექიმი: დიახ, რამე ხომ არ არის მასზე ახალი? რომელიმე ნათესავი ან მეგობარი ხომ არ გამოჩენილა?

ექიმი: არა.

მთავარი ექიმი: ტელევიზორში აჩვენეს მისი სურათი?

ექიმი: დიახ!

მთავარი ექიმი: და ჯერ არ გარკვეულა ვინ არის ეს უბედური ყმაწვილი? რას საქმიანობს ან სად ცხოვრობს?

ექიმი: არა...

მთავარი ექიმი: კარგი... მე თვითონ დაველაპარაკები. უბრალოდ მისი გონების გასაღები უნდა მოვძებნოთ. (მომვლელს) მოიყვანე. /მომვლელი გადის. სცენის მიღმა ხმაური ისმის/

მომვლელის ხმა: შესვლა არ შეიძლება... ჯერ შენი ჯერი არ არის.

ცოლ-ქმარი შემოდის, მომვლელი მოჰყვება

მომვლელი: მე არ შემომიშვია...

ცოლ-ქმარი: (მთავარ ექიმს მიმართავს და მომვლელზე ანიშნებს) ჩვენ ხომ ორნი ვართ. უთხარით ურიგოდ შემომიშვას ხოლმე!

მთავარი ექიმი: რა თქმა უნდა! თქვენ, თავისთავად, ორნი ხართ... (მომვლელს) ხომ გაიგე? ნებისმიერ დროს შემოუშვი.

ცოლ-ქმარი: (მომვლელს) ხედავ! (მთავარ ექიმს) გმადლობთ.

მთავარ ექიმს: არაფრის, ჩემო კარგო... (მომვლელს) წადი და მეორე მოიყვანე. /მომვლელი გადის/

მთავარი ექიმი: გისმენთ.

ცოლ-ქმარი: ოჰ, ძვირფასო მთავარი ექიმო!..

მთავარი ექიმი: ახლა რაღა მოხდა?..

ცოლ-ქმარი: ჩემი ქმარი თავის თავს ელაპარაკება! წარმოგიდგენიათ?

მთავარი ექიმი: ნუ ნერვიულობთ, დღესდღეობით მთელ მსოფლიოში უამრავი ადამიანი ესაუბრება თავის თავს...

ცოლ-ქმარი: ვიცი, ბატონო მთავარო ექიმო, მაგრამ... მაგრამ...

მთავარი ექიმი: რა მაგრამ?

ცოლ-ქმარი: ჩემი ქმარი თავის თავს ტელეფონზე ესაუბრება!.. დამეთანხმებით, ეს რაღაც უჩვეულოა!.. ასეთი რამე გსმენიათ აქამდე?

მთავარი ექიმი: სიმართლე რომ გითხრათ, ეს პირველი შემთხვევაა ჩემს პრაქტიკაში...

ცოლ-ქმარი: აი, ხედავთ?! მაინცდამაინც ჩემს ქმარს უნდა დამართნოდა!.. როგორ შეუძლია იჯდეს და თავის თავს ტელეფონზე ელაპარაკოს?

მთავარი ექიმი: ნუ ღელავთ... ტელეფონს გავუთიშავ.

ცოლ-ქმარი: მერე, გული არ დაწყდება?

მთავარი ექიმი: (მოთმინებას კარგავს) მაინც ვის? ტელეფონს, თუ თქვენ ქმარს?

ცოლ-ქმარი: (გაოცებული) აჰ!.. რა თქმა უნდა, ჩემს ქმარს!.. განა ტელეფონს შეიძლება რამე ეწყინოს?

მთავარი ექიმი: ზოგჯერ კი... ორი თუ სამი წლის წინ ტელეფონი გვეყვდა... იმახდა ხოლმე _ ტელეფონი ვარო...

ცოლ-ქმარი: არა, არა, მე მხოლოდ ჩემი ქმარი მადარდებს. არ მინდა ჩემს ქმარს რამე ეწყინოს... ის ისეთი კარგი ადამიანია...

მთავარი ექიმი: ყველაფერს ისე მოვაგვარებ, რომ არაფერი ეწყინოს, კარგი?

ცოლ-ქმარი: ნამდვილად?

მთავარი ექიმი: ასი პროცენტით!

ცოლ-ქმარი: მე მჯერა თქვენი! დიდი მადლობა!

მთავარი ექიმი: ახლა, თუ შეიძლება ექიმი გაგაცილებთ ოთახამდე. (ექიმს) წაიყვანეთ.

ცოლ-ქმარი: დიახ, წავალ, თორემ ჩემი ქმარი იქცენს უჩემოდ... ძალიან მივეწვიეთ ერთმანეთს... (მაგიდას ეხება) ხეს შეეხეთ!.. ნახვამდის!

მთავარი ექიმი: ნახვამდის... /ექიმი და ცოლ-ქმარი გადიან/ (მათი გასვლის შემდეგ) წადი... ბედნიერი ქალი ხარ, რადგან სიგიჟემ გიხსნა მარტოობისაგან. შენს წარმოსახვაში იპოვე ქმარი... ჩემი ცოლი კი ნამდვილია... ხედავ? სრულიად რეალური!.. (ქვითინებს) იცი, რა არის რეალური ცხოვრება? საშინელება! ნამდვილი საშინელება! ამ უსახური, საძაგელი ოთახის ატმოსფეროც კი საკამრისია, რომ თავის მოკვლაზე იფიქრო!.. (ჯიბიდან ცხვირსახოცს იღებს, ხმა ესმის და სწრაფად მალავს)

სლემ 13 და მომვლელი შემოდიან

სლემ 13: გამარჯობა.

მთავარი ექიმი: გაგიმარჯოს, გაგიმარჯოს!.. როგორ ბრძანდები?

სლემ 13: კარგად, გმადლობთ. თქვენ?

მთავარი ექიმი: ასეთ მხიარულ ცხოვრებაში, როგორ ვიქნები? მშვენივრად! (თვალს იხელს) გთხოვთ, დაბრძანდით, მოდი გულწრფელად ვისაუბროთ. /სლემ 13 მომვლელს შეხედავს/ (მომვლელს) გარეთ დაიცადე. /მომვლელი გადის. სლემ 13 მთავარი ექიმის წინ ჯდება/ თქვენი ხელი მომეცი, თუ შეიძლება.

სლემ 13: აი, ინებეთ (ხელს უწვდის)

მთავარი ექიმი: ძალიან აკრგი... (მაჯაზე პულსს უსინჯავს) აბა, ვნახოთ...

სლემ 13: თავს ნუ იწუხებთ, ჩემი პულსი სამოცდასამია.

მთავარი ექიმი: რა იცით?

სლემ 13: თავს ვისინჯავ.

მთავარი ექიმი: (იღიმის) ყოჩაღ! მაშ, ექიმიც ყოფილხართ!.. მშვენიერია!.. (გაოცებული) მართლაც სამოცდასამია!.. მოიცათ, ხელახლა შევამოწმებ! (ისევ უსინჯავს პულსს, ნელა ითვლის) სამოცდასამი! სახელო აიკაპიწეთ... (წნევის აპარატს იღებს, ყურებზე სტეტოსკოპს იკეთებს)

სლემ 13: ნუ შეწუხდებით... ას ორმოცდაოთხი ოთხმოცდაერთზე მაქვს. ნუ დარდობთ, თავს კარგად ვგრძნობ. ნორმალური წნევა მაქვს.

მთავარი ექიმი: თავად შეამოწმეთ?

სლემ 13: დიახ.

მთავარი ექიმი: (გესლიანად იღიმის) ძალიან კარგი!.. ერთი წუთით... (წნევას უზომავს, გაოცებული) ას ორმოცდაოთხი ოთხმოცდაერთზე... მოიცათ, მოდი კიდევ შევამოწმოთ (ფრთხილად ამოწმებს) ას ორმოცდაოთხი ოთხმოცდაერთზე!.. (ნერწყვს გადაყლაპავს) კიდევ ერთხელ შევამოწმებ!.. (სტეტოსკოპს შეისწორებს და დიდი სიფრთხილით ხელახლა ამოწმებს) ას ორმოცდაოთხი ოთხმოცდაერთზე!.. ასეთ შემთხვევას არსად გადავყრივარ, სამეცნიერო ლიტერატურაშიც კი... შეუძლებელია!

სლემ 13: რატომ?

მთავარი ექიმი: იმიტომ, რომ არავის შეუძლია წნევა აპარატის გარეშე გაიზომოს, თანაც ასეთი სიზუსტით!..

სლემ 13: კი მაგრამ, რატომ? შეუძლებელი მხოლოდ იმიტომია, რომ შეუძლებელია? დამაჯერებლად არ ჟღერს...

მთავარი ექიმი: არ ვამბობ, რომ ვინმეს არ შეიძლება დიდი თანდაყოლილი უნარი ჰქონდეს. ადამიანს, მართლაც, შეიძლება დიდი ნიჭი გააჩნდეს, მაგრამ... აპარატის გარეშე წნევის ასე ზუსტად გაზომვა იშვიათი მოვლენაა. (იღებს კალამს და წიგნაკში იწერს)

სლემ 13: იცით, დედამიწელების ყველაზე დიდი პრობლემა თქვენი აბსოლუტიზმია... ეს შეუძლებელია, ის _ კი! შეუძლებელია, რადგან შეუძლებელია! (აღელდება) თუ ადამიანი იძახის სტალინი ვარო, რად არ უჯერებთ? შეძრწუნებულია! დიდ გასაჭირშია!.. რატომ არ ისმენთ მის მონანიებას? ეს თქვენი უახლოესი წარსულია!.. საშინელი ტრაგედიები გადაიტანეთ! თქვენი პლანეტის დოსიეს რომ ვეცნობოდი, ყველაფერი

წავიკითხე ამის შესახებ!.. ამ კაცს მილიონობით ადამიანის სისხლით აქვს ხელები შეღებილი! რატომ არ იღებთ მის მონანიება?!

მთავარი ექიმი: (ისევ გაოცებული) იცი რა?

სლემ 13: რა?

მთავარი ექიმი: სტალინი... სტალინი დიდი ხნის წინ მოკვდა!

სლემ 13: მერე რა თუ მოკვდა?

მთავარი ექიმი: გგონია, მკვდარს შეუძლია მეორედ მოვიდეს?

სლემ 13: რატომაც არა, ხომ შეიძლება აღდგეს? რატომ ფიქრობ, რომ მკვდრებით აღდგომა მხოლოდ ერთხელ ხდება? რატომ გიჭირს იმის დაჯერება, რომ ეს ბევრჯერ შეიძლება მოხდეს?.. საიდან ასეთი აბსოლუტიზმი? მთავარი ექიმი: კარგი, მეგობარო... ახლა მაინც თუ გახსოვს შენი აქაური სახელი?

სლემ 13: თქვენ ისევ არ გჯერათ ჩემი... როგორ უნდა მახსოვდეს ის, რაც არ არსებობს?

მთავარი ექიმი: თქვენი ოჯახი, მეგობრები, ნაცნობები ალბათ ძალიან ნერვიულობენ. არ იციან, სად იმყოფები, რა დაგემართა... მისმინე, გინდა ევნერელივით იყო? 17 წელია, საბჭოთა კავშირის დროიდან მოყოლებული ფანჯარასთან დგას და ცას მიშტერებია. არც არავინ იცის ვინ არის!..

სლემ 13: რას გულისხმობ, არავინ იცისო? ხომ ამბობს ვენერადან ვარო?

მთავარი ექიმი: დიახ.

სლემ 13: მაშ, რატომ ამბობთ, არავინ იცის ვინ არისო? მთავარი ექიმი: ახლა შენც ფანჯარასთან უნდა დადგე და მასავით ცას მიაშტერდე?

სლემ 13: არა, ფანჯრიდან ცას რატომ უნდა ვუყურო? ჯერ ერთი, ხომ გითხარი, დედამიწაზე ცოტა ხანს დავრჩები, მალე მომავითხავენ. მეორეც, თქვენ რა იცით რატომ დგას ფანჯარასთან და ცას რად უყურებს? იქნებ რარაც მისია აკისრია? თქვენი პრიმიტიული კოსმონავტები...

მთავარი ექიმი: (მზურვალედ ედავება) სულაც არ არიან პრიმიტიული კოსმონავტები. ისინი საბჭოთა კავშირის გმირები არიან. ზოგი საბჭოთა კავშირის გმირების წოდება ორჯერაც მიენიჭა!..

სლემ 13: ვწუხვარ ასე, რომ გამომივიდა... გთხოვთ მომიტევეთ... თქვენი კოსმონავტები ხომ ინარჩუნებენ დედამიწასთან კონტაქტს? იქნებ, ვენერელიც აგზავნის თავის პლანეტაზე ინფორმაციას? მაინცდამაინც სკაფანდრი უნდა ეცვას და მიკროფონი ეკავოს ხელში? ყველაფერი ეს თქვენი აბსოლუტიზმიდან მოდის. იმახით ამა და ამ პლანეტაზე სიცოცხლე არ არისო! ვითომ რატომ? რაკი წყალი და ჟანგბადი არ არის! და რა მერე? იქნებ იქ ცოცხალი ორგანიზმისთვის არც წყალია საჭირო და არც ჟანგბადი?

მთავარი ექიმი: ანუ... (ცარიელ ჭიქას იღებს მაგიდიდან და მაღლა სწევს) თქვენ ამბობთ, რომ ეს ცოცხალი ორგანიზმია?

სლემ 13: ეჭვი რატომ გეპარებათ, რომ არის? ვინ წყვეტს იმას, რომ რაღაც, რაც სუნთქავს და მოძრაობს ცოცხალია, ხოლო სხვა, რომელიც ჩემთვის ნაცნობი ფორმით არც სუნთქავს და არც მოძრაობს უსულო?! ამ ლოგიკით, ჭიკამაც, რაკი თქვენ სუნთქავთ და მოძრაობთ, უნდა იფიქროს, რომ ცოცხალი როგანიზმი არ ხართ! საიდან ასეთი აბსოლუტიზმი?

მთავარი ექიმი: მასე, იქნებ მე აბსოლუტურად მე არ ვარ?

სლემ 13: შეიძლება...

მთავარი ექიმი: იქნებ, საერთოდაც, მე მე არ ვარ?

სლემ 13: რატომაც არა?! ისევ იგივე, შეუძლებელია, რადგან შეუძლებელია? (კიდევ უფრო ვნებააშლილი) თავი დააღწიეთ აბსოლუტიზმის მაგ შემბოჭავ მარწუხებს!.. რატომ არ ანთავსიუფლებთ თქვენს ფიქრებს, იმედებს, წარმოსახვასა და ფანტაზიებს? რატომ აშენებთ ამ მტკიცე ყალიბს და ტენით შიგ, აუფასურებთ თქვენს ოცნებებს? რისთვის აშენებთ ამ უაზრო საზღვრებს “შესაძლებელსა” და “შეუძლებელს” შორის და ამით თავს სამუდამო ტანჯვისთვის რატომ სწირავთ? ნუთუ ტანჯვისა და დარდის გარეშე ცხოვრება არ შეგიძლიათ? რატომ? რა არის ამის მიზეზი? მოჰყვებით ჩემს აზრებს?

მთავარი ექიმი: ასი პროცენტით! (ჩანაწერს აკეთებს) დღესავით ნათელია! მაგრამ, მისმინეთ, თქვენ სტალინის საქმეებზე საუბრობთ... ამიტომ ნამუსმა არ უნდა მოგცეთ უფლება ნათესავები თქვენს გამო ასეთ გაურკვევლობაში და მწუხარებაში დატოვოთ...

სლემ 13: რა თქმა უნდა, თქვენ როგორც ამბობთ, ისე რომ იყოს საცოდაობა იქნებოდა! მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის (სწრაფად აკეთებს შეჯამებას) თქვენს პლანეტაზე, დედამიწას რომ ეზახით, პლანეტა ვანდერპრანდლურიდან ჩამოვედი. ჩვენს კოსმოსურ ხომალდს რაღაც პრობლემა გაუჩნდა. სხვები უკან დაბრუნდნენ, მე კი შემთხვევით აქ დავრჩი. ვერ გეტყვით რა შემთხვევის წყალობით, რადგან თქვენ ამას ვერ გაიგებთ. მაგრამ ისინი მალე დაბრუნდებიან ჩემს წასაყვანად (ღრმად ამოისუნთქავს). რამდენჯერ უდნა გაგიმეოროთ ეს? მეტი აღარ შემიძლია. მაინც ვერ გაიგებთ ამას. როგორც გითხარით, თქვენ ამას ვერ გაიგებთ. რატომ არ მიჯერებთ? მეტი რა გავაკეთო, რა გითხრათ, რომ დამიჯეროთ? საკმარისი ჭკუა ხომ გაქვთ.

მთავარი ექიმი: (იღიმის, თავს აქნევს და თავისთვის ჩურჩულებს) ღმერთო ჩემო, თეატრში გეგონება თავი!..

სლემ 13: (სევდიანად) მაგრამ, ჩვენ ხომ თეატრი არ გვაქვს...

მთავარი ექიმი: ვან...ვანდერპერზე?

სლემ 13: ვანდერპრანდლურზე.

მთავარი ექიმი: ვანდერპრანდლურზე თეატრი არ არის?

სლემ 13: (ისევ სევდიანად) არ არის...

მთავარი ექიმი: (ირონიულად) შეუძლებელია!..

სლემ 13: (სევდიანად) მართალი ხართ... იქნებ ეს წარმოუდგენელია?.. იცით, რაც მადამ სარა ბერნარს შეეხვდი, მთელი ღამეები სულ აამზე ვფიქრობ... ნეტავ, რატომ არ გვაქვს ჩვენ თეატრი? იქნებ იმიტომ, რომ ჩვენს პლანეტაზე ყველა რაც სურს იმას აკეთებს და ამბობს. არავის არაფერი აქვს სხვისგან დასამალი...

მთავარი ექიმი: ყველა სიმართლეს ლაპარაკობს...

სლემ 13: სწორედ, ყველა სიმართლეს ამბობს და ამიტომ არავის სჭირდება თეატრი... ასეა, არ არსებობს საკუთარი ფიქრებისა და გრძნობების სხვა გზით გამოხატვის საჭიროება... ვინ იცის? ეს უბრალოდ ჩემი მოსაზრებაა... მაგრამ, რა სამწუხაროა!.. ამ პრიმიტიულ პლანეტა დედამიწაზე ასეთი საოცრებაა, სახელად თეატრი... და რა სამწუხაროა, რომ ჩვენ ეს საოცრება არ გვაქვს!.. თქვენს მოაზროვნეებს ასეთი გამოთქმა აქვთ – “ხელოვნების ენა”. ჩვენ ასეთი რამ არ გვაქვს... ალბათ, იმიტომ, რომ რასაც თქვენ ხელოვნების ენით გამოხატავთ, ჩვენ მას ყოველდღიურად ვამბობთ...

მთავარი ექიმი: (იწერს) თქვენი ტელეპათური ენა თქვენს სალაპარაკო ენას ემთხვევა?

სლემ 13: დიახ.

მთავარი ექიმი: ანუ, თქვენ პლანეტაზე ყველა იმას ამბობს რასაც ფიქრობს და იმას ფიქრობს რასაც ლაპარაკობს?

სლემ 13: რასაკვირველია...

მთავარი ექიმი: ამიტომაც დახურე შენი ტელეპათური არხი ჩვენს პლანეტაზე?

სლემ 13: სამარცხვინოა, რომ ასეა...

მთავარი ექიმი: მაგრამ, აი, მაგალითად მე!.. იმას ვამბობ, რასაც ვფიქრობ. არანაირი ფარული აზრები არ მაქვს.

სლემ 13: (იღიმის) მე რომ თქვენსავით აბსოლუტისტი ვიყო, არ დაგიჯერებდით და ვიტყოდი: შეუძლებელია! დედამიწაზე წარმოუდგენელია ვინმე იმას ამბობდეს რასაც ფიქრობს და პირიქით! შეუძლებელია, რადგან შეუძლებელია! არა, მე ასე არ ვფიქრობ, ამიტომ თქვენს ნათქვამს ვიჯერებ და ჩემს ტელეპათურ არხს ვხსნი... მთავარი ექიმი: გახსენით?

სლემ 13: დიახ.

მთავარი ექიმი: მერე, რა ხდება?

სლემ 13: ასე რატომ ფიქრობთ?

მთავარი ექიმი: რაზე ამბობთ?

სლემ 13: თქვენ ფიქრობთ _ ნეტა, ამ გიჟის ადგილას ვიყო!.. რატომ?

მთავარი ექიმი: (შეცბუნებული) არა!.. რაზე ლაპარაკობ?

სლემ 13: რად გინდათ ჩემს ადგილას ყოფნა? თქვენი აზრით, მე გიჟი ვარ, თქვენ კი გონიერი! მაშ, რატომ ფიქრობთ, ნეტავ შენს ადგილას ვიყო?

მთავარი ექიმი: (საგონებელში ჩავარდნილი) არა, არ არის მართალი!

სლემ 13: რა მხრივ არ არის მართალი?

მთავარი ექიმი: კარგი, საკმარისია!

სლემ 13: ნურაფრის გეშინიათ...

მთავარი ექიმი: ვის ეშინია?

სლემ 13: თქვენ ფიქრობთ, უმჯობესია ამ გიჟთან ფრთხილად ვიყო. გთხოვთ, ჩემი შეგეშინდებათ... ამის გამო ცუდად ვგრძნობ თავს!.. ნურაფრის გეშინიათ... არაფერს დაგიშავებთ, საერთოდ არაფერს!..

მთავარი ექიმი: არა!.. არ მეშინია!..

სლემ 13: ოჰო! რა პესიმისტი ხართ!.. აი! ვაი, ვაი! ასეთ დეპრესიაში როგო ცხოვრობთ? გამუდმებით ატირების ზღვარზე ხართ! რატომ? რა დაგემართათ? თქვენ რა... ასე გენატრებათ საბჭოთა კავშირის დრო?!

მთავარი ექიმი: (დაჟინებით) დახურეთ! ახლავე დახურეთ ტელეპათური არხი!

სლემ 13: კარგით, ნუ ნერვიულობთ. (კოლოფში აბებს პოულობს და ერთს მთავარ ექიმს აძლევს) აიღეთ და მოეშვით...

მთავარი ექიმი: (სწრაფად ისხამს წყალს დოქიდან, აბს სვამს) დახურეთ?

სლემ 13: დიახ.

მთავარი ექიმი: დარწმუნებული ხარ?

სლემ 13: ხომ გითხარით, ჩვენთვის “ტყუილს” მნიშვნელობა არ აქვს... ზედმეტად აღელვებული ხართ... 103!

მთავარი ექიმი: რა 103?

სლემ 13: თქვენი პულსი. გული წუთში 103-ჯერ გიცემთ.

მთავარი ექიმი: ზუსტად?

სლემ 13: დიახ.

მთავარი ექიმი: (გულზე იჭერს ხელს, ღრმად სუნთქავს) რაღას ელოდები, აზი მომეცი!

სლემ 13: ერთი წუთით... (კიდევ ერთ აბს იღებს კოლოფიდან და მთავარ ექიმს უწვდის) /მთავარი ექიმი აბს სვამს/ თქვენ მუდამ შეწუხებული და შეშინებული ხართ... მართლა რთულია ასე ცხოვრება... დედამიწა პატარა პლანეტაა, მაგრამ ნახეთ, რამდენ ნაწილადაა დაყოფილი და თითოეულს “ქვეყანა” ჰქვია...

მთავარი ექიმი: ვან... ვან...

სლემ 13: ვანდერპრანდური...

მთავარი ექიმი: იქ ქვეყნები არ არის?

სლემ 13: არა, ერთი პლანეტაა, “ქვეყნებად” რატომ უნდა დავყოთ?

მთავარი ექიმი: კი მაგრამ, რამხელაა თქვენი პლანეტა?

სლემ 13: 107.6-ჯერ დიდია დედამიწაზე.

მთავარი ექიმი: რააა?

სლემ 13: დიახ, დიახ... თქვენი პლანეტის მეორე დიდი პრობლემა ეგოიზმია. “ეს ჩემია!”, “ის ჩემია”, “ჩემი ხარ”, ეს “ჩემი მანია” მგონი თქვენი ხალხის გენეტიკური დეფექტია. გამუდმებით შიშში ცხოვრობთ, მუდამ შემფოთებულები და აღელვებულები ხართ, _ ეს ყველაფერი ამ დეფექტიდან _ “ჩემი მანიიდან” მომდინარეობს. თქვენ მიწას ნაწილებად ჰყოფთ და ბეტონში ჩასმული რკინის ეკლებით საზღვრავთ თქვენს წილს. ზღვაზეც კი ადგენთ საზღვრებს. ეს ხდება “ქვეყანა”. საკუთარ საცხოვრებელსაც კი ფარგლავთ ქვით, ხით, რკინით ან სხვა ნებისმიერ მასალით, რაც ხელში მოხვდებათ ღობის გასაკეთებლად; და ის “ეზოდ” იქცევა. თითქოს ეს საკმარისი არ არისო, ერთი ქვეყანა, მეორის ტერიტორიას დაეპატრონება. ერთი ადამიანი, მეორის მიწას ისაკუთრებს... ამიტომაცაა, მუდამ შიშში რომ ცხოვრობთ... (უფრო აღელდება) ჯარებს ქმნით. ადამიანები ერთმანეთს ხოცავენ. გენერალს, რომელიც მეტ ტერიტორიას დაიკავებს და ყველაზე მეტ სისხლს ღვრის გმირად რაცხავთ!.. მსისით ამაყოფთ!.. შეხედეთ რუკას!.. რამდენი ადამიანი კვდება შიმშილით!.. თქვენ კი მილიარდებს იარაღებზე, ბომბებზე ხარჯავთ, ერთმანეთის ამოხოცვისთვის ახალ და ახალ საშუალებებს იგონებთ!.. თქვენს სიტორიას შეხედეთ!.. თქვენ მკვლელებიცა ხართ და მსხვერპლნიც!.. არავინ მოდის სხვა პლანეტიდან დედამიწაზე შიშის დასანერგავად! თქვენ თავად ხართ ტერორისტები და ტერორიზებულები!.. რამდენი რამის თქმა შეიძლება თქვენს ეგოიზმზე... თქვენ ხალხს ორ სახედ _ ეგოისტებად და ალტრუსტებად ყოფთ... მაგრამ, თქვენთვის, ალტრუიზმი მთლიანად შედარებითია... თუმცა, არც აქვს აზრი თქვენთვის ამ ყველაფრის თქმას...

მთავარი ექიმი: ჩემთან არ აქვს ამაზე ლაპარაკს აზრი?

სლემ 13: კონკრეტულად თქვენზე არ ვამბობ... მე ზოგადად დედამიწელებზე გეუბნებით...

მთავარი ექიმი: (ნელ-ნელა გონს იკრებს) ხედავ, ყველაფერი მოვისმინე რაც თქვი. მითხარი ჩემი ტელეპათური არხი დაეხურეო და მეც დაგიჯერე. თქვენი თეორიები ამიხსენით და მეც გეთანხმებით... მაგრამ, ახლა თქვენს სახელს და მისამართს თუ მეტყვით დედამიწაზე, ყველაფერი კარგად იქნება!..

სლემ 13: (ერთი ამოსუნთქვით) მე დედამიწაზე პლანეტა ვანდერპრანდურიდან ჩამოვფრინდი. ჩვენი კოსმოსური ხომალდი...

მთავარი ექიმი: (აწყვეტილებს) კარგი, გაჩერდით!.. ეგ გასაგებია. (წიგნაკს დახურავს) დღევანდელ საუბარს ერთი პირობით დავასრულებთ.

სლემ 13: გთხოვთ, გთხოვთ...

მთავარი ექიმი: როგორ იზომავთ წნევას? მითხარით... თქვენთვის აქვს ამას რამე მნიშვნელობა, მეტყვით თუ არა? დიდ სამეცნიერო მოხსენებას დავწერდი... სენსაცია იქნებოდა! მაშინ... მაშინ იქნებ რაიმე აზრი მისცემოდა ჩემს ცხოვრებას...

სლემ 13: ეს საიდუმლო არ არის, გეტყვით. მაგრამ მაინც არ დამიჯერებთ.

მთავარი ექიმი: დაგიჯერებთ!..

სლემ 13: გჯერათ მადამ ბერნარის? გჯერათ, რომ მართლა სარა ბერნარია? ოღონდ სიმართლე მითხარით, ჩემს ტელეპათურ არხს ნუ გამახსნევინებთ.

მთავარი ექიმი: (სასწრაფოდ) არა... არ მჯერა...

სლემ 13: ხომ ხედავთ!.. (ოთახს ტოვებს)

მთავარი ექიმი: (სლემ 13-ის გასვლის შემდეგ, გულწრფელად) ეგოისტი!.. დიახაც!.. ჩემი ყველაზე დიდი ნატურაა, შენსავით გიჟი ვიყო! მაგრამ... (გრემლიანი) განა ეს ცემზეა დამოკიდებული? (ისევ კარს უყურებს) ყველაზე დიდი ეგოისტი ხარ!.. (დგება, კაბინეტში შედის, თავს მინის კარში ათვალერებს) როგორ საუბრობს! (აჯავრებს) "იქნებ მე მე სულაც არ ვარ..." მაშ ვინ ვარ?! ჰა? /სინათლე ქრება/

სურათი 6

ნაშუადღევი. ფსიქიატრიული საავადმყოფო. სასადილო. სარა ბერნარი, სტალინი, ვენერელი, ცოლ-ქმარი, მომვლელი, ექიმი, სლემ 13. სარა ბერნარი, სტალინი, ვენერელი მაგიდას მისხდომიან და საუბრობენ. ვენერელი ისევ ფანჯარას გასცქერის. მომვლელი თითოთ ითვლის მაგიდაზე დალაგებულ საჭმელს და ვენერელს ფანჯრის წინ ელობება. ვენერელი ცდილობს როგორმე ფანჯრისკენ გაიხედოს. ექიმი კარში დგას და წიგნაკში შენიშვნებს იწერს. ცოლ-ქმარი მაგიდასთან ახლოს დგას და ვერ გადაუწყვეტია დაჯდეს თუ არა.

მომვლელი: (ცოლ-ქმარს) რატომ არ ჯდები?

ცოლ-ქმარი: მე ხომ მართლ არ ვარ... ჩვენ, მე და ჩემს ქმარს ცალკე გვინდა დაჯდომა. ჩვენ ხომ წყვილი ვართ!..

მომვლელი: (მკვახედ) ინექციაზე რომ მიდგება საქმე ორმაგ დოზას არ ითხოვთ ხოლმე თქვენ ორნი!..

ექიმი: მთავარმა ექიმმა გვითხრა, რომ მას... მათ... ანუ, მას და მის ქმარს ნება აქვთ დართული ცალკე მაგიდასთან დასხდნენ.

მომვლელი: (ბუტბუტებს) მთავარი ექიმი... მთავარი ექიმი...

ცოლ-ქმარი: (ექიმს) გმადლობთ. (ცალკე მაგიდასთან ჯდება) მოგწონს აქ, ძვირფასო? (კაცის ხმა) კარგია... (მომვლელს) გამორჩეული ცოლი მყავს!.. (ჰალსტუხს უჩვენებს) ამას ხედავ? მან გამიკეთა.

მომვლელი: ვინ?

ცოლ-ქმარი: როგორ თუ ვინ?.. ჩემმა ცოლმა!.. მთელი დღე მიკეთებდა ჰალსტუხს ძველი კაბისგან!..

მომვლელი: ოო!.. გგონია დიდი რამეა? ახლა ჩემს ცოლს არ იკითხავ?.. ის საერთოდ სხვანაირია!

ცოლ-ქმარი: (სწრაფად, საკუთარი ხმით) და თქვენი ცოლი რას აკეთებს?

მომვლელი: ჩემი ცოლი... ჩემი ძველი ჰალსტუხისგან იკერავს თავისთვის ლამაზ კაბას! /მომვლელი მოშორდება ცოლ-ქმარს. მოკლე პაუზა/ (უკან იხედება) რაზე ლაპარაკობს? გაგიჟდა?

ექიმი: (მომვლელს) კი მაგრამ, ვან... (წიგნაკში დაუდევრად ეძებს) ვან-დერ-ჰრან-დურელი რატომ არ არის აქ?

მომვლელი: უარი განაცხადა წამოსვლაზე.

ექიმი: რატომ?

მომვლელი: ვინ იცის? ამბობს ჭამა არ მინდაო.

ექიმი: აკრძალულია მათი მშვიდი დატოვება. მათი მდგომარეობა უარესდება როცა მშვიდები არიან და აგრესიულები ხდებიან. სწრაფად, წადი და მოიყვანე.

მომვლელი: (უხალისოდ) კარგი... (გადის)

ექიმი: (მისი გასვლის შემდეგ) ყველა როცა ჭამს, ამ თავუნას ცოტა რჩება...

სტალინი: (ვენერელს) რა მნიშვნელობა აქვს ამას, ჰა? რა აზრი აქვს ჩემს აქ ყოფნას? აქედან გაღწევა მინდა...

ვენერელი: (ფანჯრიდან ბრუნდება) რატომ?

სტალინი: არავის სჯერა, რომ მართლა სტალინი ვარ... სხვა ადგილებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ფსიქიატრიულ საავადმყოფოშიც კი იღებენ ჩემს მონანიებას! ხოდა აქ რატომ უნდა დავრჩე?

ვენერელი: კი მაგრამ, აქედან როგორ გახვალ?

სტალინი: პარტიეს მდივნის და შეიარაღებული ძალების მეთაურის თანამდებობიდან გადავდგები! მათი მოპყრობიდან გამომდინარე, სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ!..

ვენერელი: მოთმინება იქონიე... არ ვიცი, შეამჩნიე თუ არა, მაგრამ მომვლელი როცა კი მოახერხებს ფანჯარას ეფარება, რომ ც ავერ დავინახო... მერე რა? მომვლელს რომ ყველას ბედი ჰქონდეს ხელთ, სამყარო არსებობას შეწყვეტდა!..

სტალინი: თქვენზე არ ვიცი და აქ, დედამიწაზე მომვლელები აკონტროლებენ ადამიანების ბედს-იღბალს!

ვენერელი: ხალხის მომავალზე რაღას იტყვი? სხვა სტალინიც იქნება? შენ რა უარს ამბობ საკუთარ სინანულზე?

სტალინი: (ღრმად ამოიხრებს) აი, მთავარი კითხვა ეგ არის!.. (დანა-ჩანგალს დებს, მაგიდას იდაყვებით ეყრდნობა, თავს ხელებში რგავს, ხმამაღლა) ოჰ, მეწაღე ბესარიონ! რატომ მომავლინე ამქვეყნად?! სინანული!.. სინანული ამქვეყნად!.. /მომვლელი და სლემ 13 შემოდიან/

სლემ 13: გთხოვთ, გამიგოთ!.. სინდისი საშინლად მაწუხებს...

ექიმი: სინდისი გქენჯნის? (ექვით უყურებს მომვლელს) რატომ? რა მოხდა?

მომვლელი: რაღაცას ბოდავს...

ექიმი: (სლემ 13-ს) რატომ გქენჯნის სინდისი?

სლემ 13: უქმად ვარ, თქვენ კი მაინც მაძლევს საჭმელ-სასმელს სამჯერ დღეში...

ექიმი: აბა, რა გინდა?

სლემ 13: რამე მინდა გავაკეთო, ვიმუშაო იმ საჭმლის და სასმელის საფასურად რასაც მივირთმევ... გთხოვთ, გამიგოთ... მომვლელი: (გვერდზე) გიჟია!.. (მიდის და ფანჯრის წინ დგება)

ვენერელი: (სტალინს) ხედავ? ფანჯრის წინ დგას, რომ ცის დანახვაში ხელი შემიშალოს...

ექიმი: (სლემ 13-ს) რაღაც მინდა გკითხოთ...

სლემ 13: გისმენთ.

ექიმი: (ნაზად) ამბობ, სხვა პლანეტიდან ჩამოვედიო... ვან... (წიგნაკში ეძებს)

სლემ 13: ვანდერპრანდური...

ექიმი: დიახ, პლანეტა ვან-დერ-პრან-დურიდან... მეცნიერება და ტექნოლოგია იქ ძლიერ განვითარებულია. ძალანაც კარგი, მაგრამ... (კიდევ უფრო ნაზად) ცოლ-ქმრული ურთიერთობები როგორია იქ?... ხომ გესმის რასაც გეკითხები?... კაცი, ქალი და ასე შემდეგ...

სლემ 13: მთელ სამყაროში, მხოლოდ თქვენ გაქვთ ასე გართულებული ეგ საკითხი, ჩვენთან კი ძალიან მარტივადაა.

ექიმი: (ცხოველი ინტერესით) მარტივად? მაინც როგორ?

სლემ 13: ჩვენთან იმაზე ქორწინდები ვინც გიყვარს. კაცს ერთზე მეტი ცოლი შეიძლება ჰყავდეს... ან პირიქით, ქალს ჰყავდეს რამდენიმე ქმარი...

ექიმი: ქალს რამდენიმე ქმარი შეიძლება ჰყავდეს?

სლემ 13: დიახ.

ექიმი: (აღელვებას იკავებს) ერთდროულად?

სლემ 13: რა თქმა უნდა...

ექიმი: და ქმრები არ ეჭვიანობენ?

სლემ 13: არა... ქმარმა რატომ უნდა იეჭვიანოს? მას ხომ უყვარს ცოლი! იცის, თუ მისი ცოლი სხვა ქმართანაა, ესე იგი მართო არ არის და სასიამოვნო ღამეს ატარებს... და მის ცოლს სხვა ქმრები რომ არ ჰყვარებოდა, ცოლად არც გაჰყვებოდა...

ექიმი: (თავისთვის) ღმერთო ჩემო!.. ღმერთო დიდებულო!.. ეს რა მესმის!.. (ნაღვლიანად ჩურჩულებს "თინტერპერა") და ხელისუფლება რაღას ამბობს ამაზე, ქორწინებას როგორ აფორმებენ?

სლემ 13: თქვენ ოფიციალური, ბეჭედდასმულ დოკუმენტებზე ამბობთ?

ექიმი: სწორედ!

სლემ 13: ღმერთო ჩემო!.. დედამიწას ატომური ბომბები ან ეკოლოგიური კატასტროფა კი არა ოფიციალური დოკუმენტები მოუღებს ბოლოს!.. რა არის სიყვარული, თანაგრძნობა ბეჭედთან შედარებით?!

ექიმი: (ისევ ნაღვლიანად ამოიხრებს) კარგი... გთხოვ, დაჯექი მაგიდასთან და სხვებთან ერთად მიირთვი საუზმე. (პაციენტებს უყურებს და იწერს)

სლემ 13 ღრმად ამოიხრებს და სხვა პაციენტებთან მიდის მაგიდასთან.

სლემ 13: გამარჯობა...

სარა ბერნარი: ოო!.. ბონჯოურ, ბონჯოურ მესიე სლემ 13! დაბრძანდი, ძვირფასო მეგობარო...

სლემ 13: (ჯდება) როგორ გიკითხოთ?

ვენერელი: ყველაფერი კარგადაა.

სტალინი: მე კი ძალიან ცუდ გზას ვადგავარ!

სლემ 13: ვიცი, გენერალო, ვიცი... მესმის თქვენი მდგომარეობა... მაგრამ დედამიწელები ისეთი უცნაურები არიან, რომ რას იზამ?.. (მკლავებს თანაგრძნობით გაიშვებს) რატომ ჰგონიათ, რომ თავს ცილს დასწამებდი? საერთოდ არ მესმის... საერთოდ... დედამიწელები მუდამ თავად იქმნიან პრობლემებს!..

სტალინი: (გრემლიანი) მაღლობა ღმერთს, თქვენნაირი უცხოპლანეტელი სტუმრებისთვის!.. თქვენ ნამჯის ღერო ხართ დასახრჩობად განწირული კაცისთვის. თქვენ მანუგეშებთ...

სარა ბერნარი: მეც მჯერა შენი, იოსებ...

სტალინი: ვიცი, ამხანაგო სარა ბერნარ, ამ პლანეტაზე თქვენ ერთადერთი ადამიანი ხართ, ვისაც ჩემი სჯერა!..

სარა ბერნარი: იოსებ, ისევ “ამხანაგი” დამიძახე?

სტალინი: ჩემი ბრალი არ არის!.. მთელი ცხოვრება უკლასო საზოგადოებისთვის ვიბრძოდი...

სარა ბერნარი: დაიგვიანეთ, მესიე სლემ 13, დაკავებული იყავით?

სლემ 13: (ცოტა აღელვებული) დიახ...

სარა ბერნარი: აქ ცხოვრება ისეთი უაზრო და მონოტონურია, რომ არ შემძლია არ გკითხოთ: რას აკეთებდით?

სლემ 13: (მეტად აღელვებული) მე... მე შექსპირს ვკითხულობდი

სარა ბერნარი: (შთაბეჭდილების ქვეშ) ოჰ!.. ძვირფასო მეგობარო!.. მე აუცილებლად შევქმნი თქვენს პორტრეტს! აუცილებლად! მე სკულპტორიც გახლავართ... მართალია როდენს ჩემი ნამუშევრები არ მოსწონდა, მაგრამ ის ცოტა არ იყოს ეჭვიანობდა თავის ხელოვნებაზე... (იცინის) ნამდვილი მექალთანე იყო!.. ისე მიყურებდა, როგორც კატა ჩიტს... მაგრამ მე მომწონს მისი შემოქმედება... ხოლო თქვენი პროფილი ზოგჯერ თვალწინ მიდგება ხოლმე... (ახლოდან უყურებს) თუ შეიძლება, პროფილი მაჩვენეთ... /სლემ 13 პროფილს მისკენ აბრუნებს/ დიახ, მშვენიერია... ახლა შემომხედეთ... /სლემ 13 მისკენ ბრუნდება. მოკლე პაუზა/ მე აუცილებლად შევქმნით ქვენს პორტრეტს!.. მითხარით, მესიე სლემ 13, რას კითხულობდით?

სლემ 13: “რომეო და ჯულიეტას”.

სარა ბერნარი: (უზომოდ ნასიამოვნები) ოჰ!.. გადაგეხვიოთ მინდა!..

სლემ 13 დგება და სარა ბერნარისკენ იხრება. სარა ბერნარი კისერზე ეხვევა და მკერდში იკრავს

ექიმი: (დაინახავს მათ და უყვირის) ეს რას ჰგავს? (მათკენ მიიჩქარის) მოშორდი! აქეთ გამოდი! (ცდილობს ერთმანეთს დააშოროს) გამოდი! მოცილდი-მეთქი!.. (ვერ აშორებს ერთმანეთს) მომვლელი!.. მომვლელი!.. /სინათლე ქრება/

სურათი 7

სადამო. ფსიქიატრიული საავადმყოფო. დასასვენებელ იოთახი. სარა ბერნარი, სტალინი, ვენერელი, ცოლ-ქმარი, სლემ 13, ექიმი, მომვლელი და მთავარი ექიმი. სარა ბერნარი ჩვეულ პოზაში, დივანზე წამოწოლილი კითხულობს. ვენერელი ფანჯარასთან დგას და ცას მიმტერებია. სტალინი ბოლთას ცემს. ცოლ-ქმარი სკამზე ქანაობს.

სტალინი: დღეს მე ვარ მორიგე. (კართან მიდის და ამოწმებს ხომ არავინ მოდის) არავინ მოდის. სწრაფად! /სტალინი იხრება და ჩექმიდან აბებს იღებს, სარა ბერნარისკენ მიიჩქარის, ხელს უწვდის. სარა ბერნარი მკერდიდან ამოღებულ აბებს აძლევს. შემდეგ ცოლ-ქმარი იღებსკაბის ქამრიდან აბებს და აწვდის. სტალინი ვენერელთან მიდის, რომელიც ცისთვის თვალმოუშორებლად ხელს ჯადოქარივით იქნევს და აბებს სტალინს უწვდის./ (გაოცებული) ეს რა არის! საიდან გააჩინე? ჯადოქრობ, არა? ამხანაგო ვენერელო, ჩვენი მესინგივით ხართ!

ვენერელი: (ბრუნდება და იღიმის) ჯერ კიდევ არავინ იცის მესინგი ვინ იყო, თქვენიანი თუ ჩვენიანი?.. (ბრუნდება, რომ ფანჯრიდან ცას გახედოს)

სტალინი: (ჩაფიქრებული) მესინგი ვენერელი იყო?.. არა... თუმცა, რატომაც არა?...აი, ხედავ! ისევ ვერ ვთავისუფლდები მატერიალიზმის ჭაობისგან. სწორედ ეგ არის ჩემი უბედურება!.. (ტუალეტისკენ მიდის)

ცოლ-ქმარი: (ქანაობს) ასე კარგია, ძვირფასო? (კაცის ხმით) შესანიშნავია... დიდი ხანია ასე კარგად არ დამისვენია... დღეს რას მომიზადებ სადილად (საკუთარი ხმით, კვლუცად) რასაც ინებებ... /ტუალეტიდან ჩარეცხვის ხმა ისმის. სტალინი გამოდის, ხელეებს იფშენეტს/

სტალინი: (წინ და უკან დადის, ტუალეტისკენ მიუთითებს) იქ ვფიქრობდი, თუ გადავდგები ვინლა მოისმენს ჩემს მონანიებას? კომუნისტური პარტიის მდივანს თუ არავინ უსმენს, არარაობას ვინლა ათხოვებს ყურს?

სარა ბერნარი: იოსებ!.. გგონია მუდამ ასე იქნება? მოთმინება იქონიეს!.. აი, მეც თიხა ვითხოვე, რომ მესიე სლემ 13-ის ბიუსტი შემექმნა, მაგრამ არ მომცეს... შთაგონება მეწვია, მინდა რაიმე შეექმნა, შინაგანად მწვავს ეს სურვილი; მესიე სლემ 13-ის პროფილი გამუდმებით თვალწინ მიდგას, მაგრამ მათ არ სურთ ამის გაგება!.. მათ არაფერი გაეგებათ ნამდვილი ხელოვნების, სულიერების ან ზეციური ხმების!.. წვიმა უბრალო წყალი ჰგონიათ!.. ამიტომაც არაფერი გვესაქმება მათ საზოგადოებაში!.. მაგრამ, იოსებ, ნუთუ გგონია მუდამ გიჟად ჩავვთვლიან? რა იცი, მომავალი რას გვიმზადებს? არავინ იცის რა მხოდება...

სტალინი: ამხანაგო სარა ბერნარ, თქვენც ფიქრობთ, რომა რ უნდა გადავდგე?

სარა ბერნარი: რა თქმა უნდა, იოსებ... თუ გადავდგება, როგორლა მოინანიებ?

სტალინი: დიახ, მართალი ხარ... მილიონობით ადამიანის სისხლით მაქვს ხელები მოსვრილი!.. ვერ ვიძინებ, მესიზმრება ჩემ მიერ დაღვრილი სისხლით როგორ ღებავს კახეთის ყველა მდინარეს და მოსვენება არ მაქვს!.. სისხლიანი სიზმრები მეზმანება!.. ინექციას მიკეთებენ, რომ როგორმე დამამინონ, მაგრამ სწორედ ინექცია მართმევს დამინების უკანასკნელ შანსს!.. არა, ეს ჩემი სასჯელია! სირცხვილია, რომ ისევე არ ვიტანჯები, როგორც პრომეთე!.. ეგ ადვილი ასატანი იქნებოდა!.. პრომეთემ ადამიანებს ცეცხლი მისცა და ამის გამო კავკასიონზე მიაჯაჭვეს; მე კი ხალხის სისხლის დაღვრისთვის ვისჯები. პრომეთე ხომ ჰერკულესმა იხსნა, მაგრამ მე ვინ გადამარჩენს? არავინ!.. კაცმა, რომელმაც ამდენი დატანჯა, თავად უნდა იტვირთოს თავისი სასჯელი! მორჩა, არ გადავდგები!..

სარა ბერნარი: მხოლოდ ერთი პირობით _ თუ “ამხანაგს” აღარ დამიძახებ... არავინ იცის, მომავალში რა მოხდება, იოსებ... ამიტომაც არ მჯერა მკითხავენის... მთელ მსოფლიოში, მხოლოდ ჯულიეტას სულს შეეძლო ნამდვილი მომავლის გამჟღავნება!.. თუმცა, ვისურვებდი, მისი საბრალო სულის წინასწარმეტყველება არ ამხდარიყო!.. ვფიქრობ, ნოსტრადამუსიც თაღლითი იყო, ხალხს ატყუებდა... მაგალითად, ოდესმე წარმოვიდგენდი ჟაკი ნარკომანი რომ იქნებოდა?... ვერასოდეს!..

სტალინი: (აქეთ-იქით დადის) ეგ ვინ იყო?

სარა ბერნარი: (იღიმის) ჩემი პირველი და უკანასკნელი ქმარი... საბრალო ჟაკ დამალა... ოცდაათობმეტი წლისა მოკვდა...

სტალინი: და შენ რამდენი წლის იყავი?

სარა ბერნარი: (უცმაყოფილო) იოსებ!.. არ იცი, რომ ქალს ასაკი არ უნდა ჰკითხო?

სტალინი: (ერთი წუთით შედგება) მე ხომ უზრდელი კაცი ვარ!

სარა ბერნარი: (უხალისოდ) მასზე თერთმეტი წლით უფროსი ვიყავი...

სტალინი: (წინ და უკან დადის) კარგი, თერთმეტს მივუმატოთ ოცდაათობმეტი არის...

სარა ბერნარი: გთხოვ, შენთვის ჩუმიად გამოითვალე, იოსებ... ხელოვნებასთან როცა გაქვს საქმე ასაკზე ლაპარაკი უადგილოა!..

სტალინი: მართალი ხარ! მაგრამ მე ბიზონივით სქელკანიანი ვარ!..

სარა ბერნარი: (ჩაფიქრებული) ჟაკი პირველად რომ ვნახე, ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს კაცი მანამდე არასდროს მენახა!.. (იცინის)

სტალინი: ეჭვიანი კაცი იყო?

სარა ბერნარი: რა თქმა უნდა! ძალიან ეჭვიანი იყო...

სტალინი: (ჩაფიქრებული წუთით ჩერდება) ლენინის ნადეჟდაც ეჭვიანობდა ჩემზე... ყოველ ემთხვევაში... (წინ და უკან დადის) ჰქონდა ჟაკს ეჭვიანობის მიზეზი?

სარა ბერნარი: (კვლავად) შენ თვითონ როგორ ფიქრობ, კი თუ არა?... (იცინის) ჟაკმა იცოდა ერთადერთი რომ არ იყო.. მაგრამ რა მექნა? პარიზის მთელი მოხდენილი კავალერები რიგში დგებოდნენ, რომ ერთხელ მაინც წავეყვანე სადმე!.. რა უნდა გამეკეთებინა?... იცი, რას მეძახდნენ ჭორიკნები?

სტალინი: არა.

სარა ბერნარი: (იცინის) “დონ ჟუანს კაბაში”!.. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ მამაკაცის როლს ვთამაშობდი ხოლმე...

სტალინი: აჰა, ესე იგი, ჟაკს დიდი რქები ჰქონდა!..

სარა ბერნარი: იოსებ! ხომ იცი ეს როგორცაა!.. (ჩაფიქრებული) ჩემი ცხოვრება აღმოდებული იყო... არ უარვყოფ, რომ ბევრი საყვარელი მყავდა, მაგრამ... მაგრამ მე მუდამ მარტო ვიყავი, გესმის?... მხოლოდ თეატრი!.. მხოლოდ თეატრი იყო მუდამ ჩემს გვერდით!.. მესიე სლემ 13 მოვიდა... ბონჯოურ, მესიე სლემ 13...

სლემ 13: ბონჯოურ მადამე...

სარა ბერნარი: ჩაფიქრებული ჩანხართ...

სლემ 13: (რომანტიკული განწყობით) “რომეო და ჯულიეტას” შთაბეჭდილების ქვეშ ვარ, მადამ...

სარა ბერნარი: (შეკრთება) ოჰ!.. დამთავრეთ “რომეო და ჯულიეტას” კითხვა?

სლემ 13: დიახ. განა შეიძლება მისი შუა გზაზე მიტოვება? რამოდენიმეჯერ წავიკითხე თავიდან ბოლომდე, მთელი ღამე ვკითხულობდი!..

სარა ბერნარი: (მხიარულად) ოჰ!.. მესიე სლემ 13!..

სლემ 13: (იმავე რომანტიკულ განწყობაზე) მადამ ბერნარ!.. სარა... ცხოვრებაში არაფერს შევეუძრვივარ ასე!.. (მგლოვიარე ხმით კითხულობს “რომეო და ჯულიეტადან”) “ტოროლა იყო, განთიადის მათემატიკა...”

სარა ბერნარი: (მაშინათვე) დიახ, კაპულეტების ბაღის სურათიდანაა. ჩემი საყვარელი სცენაა!.. ჯულიეტა ამბობს, რომ “ზოგი იძახის, ტოროლასა და მყვარს საზარელს, ერთმანეთისთვის თითქოს თვალნი გადაეცვალოთ...” /სტალინი წამით შედგება და მათ უყურებს/ იცით, რატომ? რადგან გომბეშოს თვალები ძალიან ლამაზია. ტოროლას კი პატარა და უფერული თვალები აქვს... /ვენერელი ფანჯრიდან მოიხედავს და მათ უყურებს/ (კიდევ ფურო აღფხნებული) ლეგენდაში გომბეშო და ტოროლა თვალებს ცვლიან. იმ დროს ჯულიეტას გომბეშოს ხმის გაგონება სურს და არა ტოროლას გალობის; რადგან ჯულიეტას გათენება არ სურს!.. /ვენერელი და სტალინი მათ უახლოვდებიან./ ჯულიეტას უნდა რომეოსთან გატარებული ღამაზე ღამე არ დამთავრდეს, რომ განაგრძონ ერთმანეთის ტრფობა... უმანკო ჯულიეტა... ეს ჩემი საყვარელი მეხუთე სურათია... მოქმედება მესამე, სურათი მეხუთე... (ტახტიდან დგება, სლემ 13-ს ეხვევა და ჯულიეტას სიტყვებს იმეორებს) “უკვე მიდიხარ?”

მომვლელი შემოდის. რკინის ლანგრით იოგურტის სასმელით ნახევრად სავსე ჭიქები მოაქვს. ჩერდება და გაკვირვებული მათ უმზერს. (როლში შეჭრილი) მაგრამ დილა შორსაა კიდევ... ის ბულბულია ტოროლას ხმა ნუკი გგონია, და შენი ფრთხილი ყურთასმენა იმან შეაკრთო... ის მუდამ ღამე ბროწეულის ბუჩქებზე გალობს... /ექიმი შემოდის, როგორც ყოველთვის წიგნაკითხე ხელში, თავიდან იმ ორს უყურებს, შემდეგ გარშემომყოფებს შეხედავს და გაოცებული შედგება./ ბულბული იყო, დამიჯერე, ჩემო ტრფიალო...”

სლემ 13: (რომეოს სიტყვებს ამბობს) “ტოროლა იყო, განთიადის მათემატიკა... აბა, შეხედე, სიყვარულო, მოშურნე სხივებს, აღმოსავლეთის მჭმუნვარ ღრუბლებს როგორ ჰქარგავენ... დამის ლამპრები ჩაიფერფლენ და განთიადი ნისლიან ნწვერვალს ფეხაკრეფით უახლოვდება... უნდა წავიდე, ან დავრჩე და სიკვდილს ვუცადო...”

ცოლ-ქმარი: რა საინტერესოა, საყვარელო... ნახე რა ღამაზია... (მათკენ მიდის)

სარა ბერნარი: (ჯულიეტას როლში) “ეს დილის სხივი ნუ გგონია _ მეტეორია...”

(სლემ 13 თავს ითავისუფლებს მისგან და ფანჯარასთან მიდის) მზისგან შენთვის მეჩირაღდნედ გამოგზავნილი, რომ მანტუისკენ მან ამაღამ გზა გაგინათოს... (სლემ 13-ის მკლავებისკენ მივბრუნდები, ვნებით ამბობს) მამ დაიცადე, ჯერ წასვლის დრო არ დადგომია...”

სლემ 13: (რომეო) “თუნდა შემიპყრან, თუნდ სიკვდილით დამსაჯონ მყისვე, თანახმა ვხდები, რაკი შენვე ისურვე ასე... და ეგ სინათლე დილის თვალი როდია მართლა, _ ანარეკლია ის ცინთიას ფერმიხდილ შუბლის... არცა ტოროლას ხმა ყოფილა, თავის წკრიალით ზეცის კამარა რომგაჰკვეთა... მე მირჩევნია აქ განსაცდელში დავრჩე ისევე, ვიდრე წავიდე. მოდი, სიკვდილო, გესალმები! ჩემს მზეს სურს ასე. მელაპარაკე, სულო ჩემო, ჯერ დღე შორსაა...”

სარა ბერნარი: (ჯულიეტა) “არა, გათენდა! გაეშურე, ჩქარა გამშორდი! ეს ტოროლაა, შემაზრუნებად რომ ჰყვივის ასე... უსიამოვნოდ, უხმატკობლოდ, შემადონებლად. ზოგს საამუხრად ეჩვენება მისი სიმღერა, მაგრამ საიდან _ სწორე დეს ხმა გვაშორებს ურთერთს! ზოგი იძახის, ტოროლასა და მყვარს, საზარელს, ერთმანეთისთვის თითქოს თვალნი გადაეცვალოთ... ო, ნეტავ ხმებიც გაეცვალათ, _ ამ ხმამ გათიშა ჩვენი მკლავები,

ერთმანეთთან გადაჭდობილნი, და განთიადის მაუწყებელ სტვენა-სიმღერით აქაურობას მოგაშორა...
(მოშორდება) წადი, ძვირფასო, უფრო და უფრო ემატება დილას ნათელი...”

სლემ 13: (რომეო) “მშვიდობით იყავ! ერთი კოცნაც და გაგშორდები!” (ფანჯრისკენ დგამს ნაბიჯს)

სარა ბერნარი: (ჯულიეტა) (გულში ჩაეკრება) “წახვედი ჩემო მბრძანებელო, ჩემო მეუფე, ჩემო ტრფიალო, მეგობარო, ყოველდღიურად, ყოველ საათში მომაწვდინე შენი ამბავი... ჩემთვის კი წუთში ბევრი დღეა, ამ ანგარიშით მე დავბერდები, კვლავ რომეოს ვიდრე ვნახავდე.”

სლემ 13: (რომეო) მშვიდობით იყავ! არ გამოვტოვებ არასოდეს მარჯვე შემთხვევას და სალამს მუდამ შემოგიტვლი, ჩემო ტრფიალო...”

სარა ბერნარი: (ჯულიეტა) “როგორ გგონია, შევიყრებით კიდევ როდესმე?

სლემ 13: (რომეო) “ექვციც არა მაქვს მე ამისა და შეხვედრისას ამ მწუხარებას მოვიგონებთ ტკბილი საუბრით...”

სარა ბერნარი: (ჯულიეტა) “ო, ღმერთო ჩემო, რა წყეული წინაგრძნობა მაქვს, ასე მგონია, როცა ქვემოთ გიყურებ ახლა, თითქოს ვუცქერდე სამარეში, ფერმიხდილ ცხედარს, თვალი მატყუებს, ანდა მართლა გაფითრებულხარ...”

სლემ 13: (რომეო) “მეც სწორედ ასე მეჩვენები, ჩემო ტრფიალო, გულქვა ვარამი ჩვენ სისხლსა გვწოვს. გემშვიდობები...”

სარა ბერნარი: (ჯულიეტა) “წყეულო ბედო, ქვეყნად მუხთალს გეძახის ყველა, და თუკი მართლა მუხთალი ხარ, რა გესაქმება პატიოსნებით განთქმულ კაცთან?! იყავ მუხთალი, აღარ ამყოფებ მაშინ დიდხანს შენთან რომეოს და, ბედისწერავ, მალე უკან გამომიგზავნი...” (ქვითინით ეცემა მუხლებზე)

სლემ 13: სარა... (თვალდახუჭული)

ცოლ-ქმარი, სტალინი და ვენერელი, თითქოს ოცნებიდან გამოერკვნენო ტაშს უკრავენ.

ცოლ-ქმარი: ბრავო!..

სტალინი: სარა!... სარა, აღარასოდეს დაგიძახებ “ამხანაგო, სარა ბერნარს”!

ვენერელი: ბის!

სტალინი: სარა!... სარა!..

ცოლ-ქმარი: სიყვარულს გაუმარჯოს, სიყვარულს!..

სლემ 13: სარა ბერნარ!.. (ეხვევა და კოცნის) /მომვლელს ლანგარი უვარდება ხელიდან, რასაც ვერც თვითონ ამჩნევს და ვერც ექიმი, ორივე ადგილზე არიან გაქვავებულნი./

ექიმი: (გულზე ხელმიჭერილი უყურებს პაციენტებს) ვაი, დედა!.. ახლა გული გამისკდება!..

მომვლელი: (თავისთვის ამბობს, თან პაციენტებს თვალს არ აშორებს) რა ნაძირალა ვარ! მე მათ სოსისებს ვპარავ!.. (ხმამალლა) მხოლოდ ნახევარ იოგურტს ვუსხმა ჭიქებში, დანარჩენი კი სახლში მიმაქვს!.. ჩემნაირი არამზადა ჯვარს უნდა აცვა!..

ექიმი: მე მიწადა ჯულიეტა ვიყო! გესმის, რომეო!.. (პაციენტებთან მიდის) რომეო!.. ჯულიეტა მიწადა ვიყო!..

სლემ 13: (მალა სწევს სარა ბერნარის ხელს, ყვირის) სარა ბერნარი!..

სენერელი: ბრავო!.. დღეგრძელ იყოს ხელოვნება დედამიწაზე!..

ცოლ-ქმარი: სიყვარული გადაარჩენს კაცობრიობას!..

სტალინი: სარა!.. აღარავის მივცემ მსახიობისთვის თითის დაკარების უფლებას!..

მომვლელი: აღარასდროს მოვიპარავ თქვენ ხორცს!..

ექიმი: (მომვლელს) აღარასოდეს მივუტან შენზე ენას მთავარ ექიმს!..

მომვლელი: (ექიმს) მე კი შენზე აღარ დაგაბეზლებ!..

სარა ბერნარი: ძვირფასებო!.. გმადლობთ!..

მომვლელი: (ვენერელის სახელოს ქაჩავს) აღარასოდეს დაგიდგები ფანჯრის წინ!..

ვენერელი: მჯერა, გმადლობ!..

ექიმი: რომეო, მიყვარხარ!..

ექიმი, მომვლელი, ცოლ-ქმარი, სტალინი და ვენერელი ხელებს ჩაჰკიდებენ და სარა ბერნარსა და სლემ 13-ს შემოეხვევიან.

სლემ 13: სარა ბერნარ!..

სტალინი: ჯუღუღა!..

სარა ბერნარი: გმადლობთ!..

ცოლ-ქმარი: სიცოცხლეს გაუმარჯოს!..

ექიმი: რომეო, ჩემო სიყვარულო!..

ვენერელი: დედამიწას გაუმარჯოს!

სლემ 13: ყველა პლანეტას გაუმარჯოს!..

მომვლელი: არავის აღარ მოვპარავ საჭმელს!..

სარა ბერნარი წინ წადგება და ყველა დადუმდება.

სარა ბერნარი: (ბოლო ხმაზე) შექსპირს გაუმარჯოს!

ყველა ერთხმად: შექსპირს გაუმარჯოს!.. შექსპირს გაუმარჯოს!.. შექსპირს გაუმარჯოს!.. შექსპირს გაუმარჯოს!.. შექსპირს გაუმარჯოს!..

ხელიხელჩაკიდებული სტალინი, ცოლ-ქმარი, ვენერელი, ექიმი და მომვლელი, მუსიკაზე ცეკვავენ და სარა ბერნარსა და სლემ 13-ს უვლიან გარს. შემდეგ სარა ბერნარი და სლემ 13 წრეს უერთდებიან და ყველანი წრედ შეკრულნი ცეკვავენ მთელი სცენის ირგვლივ. მთავარი ექიმი შემოდის.

მთავარი ექიმი: (განცვიფრებული იყურება) ღმერთო ჩემო!.. ეს რა არის?! რა წარმოდგენაა!..

ყველანი ცეკვავენ, ერთხმად : შექსპირს გაუმარჯოს!.. შექსპირს გაუმარჯოს!.. შექსპირს გაუმარჯოს!.. შექსპირს გაუმარჯოს!.. შექსპირს გაუმარჯოს!.. /სინათლე ქრება/

სურათი 8

შუადღე. ფსიქიატრიული საავადმყოფო. მთავარი ექიმის კაბინეტი. მთავარი ექიმი, ექიმი, მომვლელი. მთავარი ექიმი თავის საწერ მაგიდასთან ზის.

მთავარი ექიმი: ისევ პარასკევია... კვირის ბოლო... თითქოს ნახევარი საათის წინ იყო, აქ რომ ვიჯექი და ვფიქრობდი, ეს კვირა თვალის დახამხამებაში ჩაივლის-მეთქი... აი, ხედავ, მართლაც თვალის დახამხამებაში გავიდა!.. თავად ცხოვრებაც ერთი გაელვებაა... კიდევ ერთი წელი გავა ასე... ათი წელი... ოციც!.. ეს წლები თვალის დახამხამებაში ჩაივლის... და მეც თეთრ ხალათს გავიხდი, ქუდს დავიხურავ და... მშვიდობით! _ პირდაპირ სასაფლაოზე და ცივ სამარეში აღმოვჩნდები! რა ვნახე ამ ცხოვრებაში? არაფერი!.. ორშაბათი, სამშაბათი... ოთხშაბათი... ხუთშაბათი... პარასკევი... შაბათი... კვირა და ისევ ორშაბათი!.. მაგრამ... (ქვითინებს) მაგრამ... (ჯიბიდან იღებს ცხვირსახოცს) მინდა ამ ცხოვრებაში რაღაცით დავტკბე!.. განა ასე ბევრს ვითხოვ?.. მაგრამ რისი იმედი უნდა მქონდეს? რა მელის მომავალში? (ცერა თითს საჩვენებელ და შუათითს შორის ჰყოფს) აი ეს!.. /ვარზე კაკუნია. სწრაფად ინახავს ცხვირსახოცს ჯიბეში./ ვინ არის?

ექიმი: (შემოდის) შეიძლება შემოვიდე?

მთავარი ექიმი: შემოდით. რა ხდება?

ექიმი: ცოლ-ქმარი ამბობს... ამბობენ რომ...

მთავარი ექიმი: რას ამბობს?.. რას ამბობენ?

ექიმი: ცოლ-ქმარი ამბობს, რომ... ის... ანუ, ისინი ბავშვს ელოდებიან...

მთავარი ექიმი: რა?!

ექიმი: ცოლ-ქმარი ამბობს, ჩვენ, ანუ, მათ, მას და მისი ქმარს ბავშვი ეყოლებათ!..

მთავარი ექიმი: ღმერთო ჩემო!.. კი მაგრამ, რას ლაპარაკობ?

ექიმი: მე?

მთავარი ექიმი: ხო, შენ.

ექიმი: იმას ვამბობ, რომ ალბათ, საბავშვო ეტლის ყიდვა იქნება საჭირო...

მთავარი ექიმი: (მტკიცედ) აჰა, ვხედავ! გახსენი წიგნაკი და ჩაიწერე!

ექიმი: ერთი წუთით (კარისკენ მიდის) წიგნაკს მოვიტან.

მთავარი ექიმი: ხელში რაღა გიჭირავს, ეგ რა შენი წიგნაკი არ არის?

ექიმი: არა, ეს... ეს წიგნია...

მთავარი ექიმი: (შუბლს შეიკრავს) რა წიგნი?

ექიმი: შექსპირის წიგნი...

მთავარი ექიმი: შექსპირი? /ექიმი თავ უქნევს/ იმის მაგივრად, რომ ფსიქიატრიულ პრობლემებზე უკანასკნელი სამეცნიერო ლიტერატურა იკითხო, ან სამედიცინო სფეროში მომხდარ სიახლეებს მიადევნო თვალი, შექსპირს კითხულობ?

ექიმი: (მხიარულად) გუშინწინიდან მოყოლებული შექსპირს ვკითხულობ!.. თქვენ უნდა წაიკითხოთ, ექიმო! განტვირთვაში დაგეხმარებათ. წაიკითხეთ!.. შექსპირი, ხომ იცით, ყველას ათანასწორებს... ყველა დარდს უკან მოიტოვებს და თითქოს... თითქოს... (წიგნს მკერდზე მიიკრავს და თვალს ხუჭავს)

მთავარი ექიმი: ხო, კარგი, შეგიძლია წახვიდე... /ექიმი გადის/ გუშინწინიდან მოყოლებული შექსპირს კითხულობს?... ცოტა არ იყოს, უცნაურად იქცევიან მას შემდეგ, რაც გუშინწინ ვუსაყვედურე... ვერ ვიტყვი რამდენად უცნაურად... უბრალოდ უცნაურად იქცევიან... /კარზე კაკუნია./ ვინ არის? /მომვლელი შემოდის. ერთ ხელში ქაღალდი უჭირავს, მეორეს ზურგს უკან მალავს./ რა იყო?

მომვლელი: (ქაღალდს უწვდის) თუ შეიძლება, აქ მოაწერეთ ხელი.

მთავარი ექიმი: ახლა რაღაა?

მომვლელი: ოცი კილო თიხა ჩამოვიდა ხელოვანთა კავშირის ფონდიდან.

მთავარი ექიმი: ოცი კილო რა ჩამოვიდა?

მომვლელი: თიხა.

მთავარი ექიმი: თიხა? რა თიხა?

მომვლელი: სარა ბერნარისთვის შევუკვეთეთ თიხა, რომ ქანდაკება გამოძერწოს.

მთავარი ექიმი: კი მაგრამ, სარა ბერნარი მსახიობია რ არის?

მომვლელი: დიახ, არის. მაგრამ, იცით, ისეთ მშვენიერ ქანდაკებებს ძერწავს!..

მთავარი ექიმი: გინახავს მისი ქანდაკებები?

მომვლელი: (ცოტათი შეცბუნებული) არა, ჯერ არა... მაგრამ წარმომიდგენია...

მთავარი ექიმი: (უარყოფით ხელს იქნევს) ხო, არა?.. (ხელს აწერს ქაღალდზე) აჰა! (დაკვირვებით უყურებს მომვლელს, ქაღალდს ხელს არ უშვებს) ერთი წუთით მოიცადე! ზურგს უკან რას მალავ?

მომვლელი: არაფერს.

მთავარი ექიმი: ისევ მოიპარე რამე?

მომვლელი: (გაცხარებით აპროტესტებს) არა! მე აღარ ვიპარავ!

მთავარი ექიმი: მაშინ ზურგს უკან რას მალავ?

მომვლელი: (ხელს გამოიწვდის) წიგნია!..

მთავარი ექიმი: რა წიგნი?

მომვლელი: შექსპირი.

მთავარი ექიმი: შენც შექსპირს კითხულობ?

მომვლელი: დიახ!

მთავარი ექიმი: როდიდან?

მომვლელი: გუშინწინიდან მოყოლებული.

მთავარი ექიმი: გუშინწინიდან?

მომვლელი: დიახ!.. ის... ის ჩემი საყვარელი მწერალია!

მთავარი ექიმი: კარგი, შეგიძლია წახვიდე... /მომვლელი ქალაქს იღებს და გადის./ (დგება, წინ და უკან დადის, მომვლელს აჯავრებს) “ჩემი საყვარელი მწერალია!..” გეგონება კიდე რამე ჰქონდეს წაკითხული!.. რა ხდება? რამე, ახალი სინდრომია? შექსპირომანია?!

სურათი 9

შუადღე. ფსიქიატრიული საავადმყოფო. დასვენებელი ოთახი. ცოლ-ქმარი, სტალინი, ვენერელი, სარა ბერნარი, სლემ 13. ცოლ-ქმარი სარწევლა სკამზე ზის და წიგნს კითხულობს. სტალინი წინ და უკან დადის და წიგნს კითხულობს. ვენერელი ფანჯარასთან ზურვით დგას, წიგნს კითხულობს. სლემ 13 სარა ბერნარის წინ დგას, პროფილში. სარა ბერნარი დგას და მაღალ სადგამზე სლემ 13-ის ბიუსტს ძერწავს.

სარა ბერნარი: (სლემ 13-ს) ნამდვილი ანტიკური პროფილე გაქვთ მესიე სლემ 13... ვიცი, გაწვალბეთ...

სლემ 13: სარა!.. ეს ჩემი ცხოვრების საუკეთესო წუთებია!..

სტალინი: (წინ და უკან დადის, ხარზად კითხულობს) შექსპირი ასჯერ უკეთესია “კაპიტალზე”!

ცოლ-ქმარი: (სკამზე ქანაობს, წიგნიდან კითხულობს) სინიორა კაპულეტი ამბობს: “ამით შენ უფრო გააცხოველებ დაკარგვის გრძნობას, მაგრამ მეგობარს, ვისაც გლოვობ, ვერ გააცოცხლებ...” ხედავ ამ მშვენიერ სიტყვებს ძვირფასო?.. უსმინე რას ამბობს ჯულიეტა, “მაგრამ რაკი ვგრძნობ ამ დანაკლისს, არ შემოდია, რომ მეგობარი არ ვიტირო.” ოჰ!.. (ქვითინებს)

ვენერელი: (წიგნი ხელში უჭირავს და კითხულობს) შექსპირ!.. შექსპირ!.. შენ ისეთი რამეები იცოდი, რაც ჩვენთვისაც უცნობია!..

სტალინი: (ვენერელისკენ მიდის) შეგიძლია მომილოცო!

ვენერელი: რა?

სტალინი: მატერიალიზმის ჭაობისგან გავთავისუფლდი. ახლა იდეალისტი ვარ!

ვენერელი: ოო! ეს კარგია!.. რადგან მეც იდეალისტი ვარ, მადლობას მოგახსენებთ!

სტალინი: არა, მადლობას ნუ მიხდი!.. შექსპირი... შექსპირს უთხარი მადლობა!..

სარა ბერნარი: (ენტუზიაზმით მუშაობს ბიუსტზე) აბა, ვნახოთ ამჯერად რაღას იტყვის მესიე როდენი. იქნებ ეს ბიუსტიც დაიწუნოს?

სლემ 13: შესაძლებელია თქვენს მიერ გაკეთებული რაიმეს დაწუნება, სარა?..

სარა ბერნარი: ეჰ, სლემ 13, ჩემო ძვირფასო მეგობარო... ჩვენ პლანეტაზე ხალხი თვეზე არ გგავთ...

სლემ 13: რაც არ უნდა იყოს, სარა, თქვენ შექსპირი გაქვთ!..

სარა ბერნარი: (იცინის) ვინ იცის, მესიე სლემ 13... ვინ იცის, შექსპირი ჩვენია თუ თქვენი!..

სურათი 10

საღამო. ფსიქიატრიული საავადმყოფო. ჯერ მთავარი ექიმის კაბინეტი, შემდეგ საავადმყოფოს ეზო, შემდეგ დასვენებელი ოთახი და ისევ საავადმყოფოს ეზო... მთავარი ექიმი, ექიმი, მომვლელი, სლემ 13, ცოლ-ქმარი, სარა ბერნარი, სტალინი, ვენერელი. მთავარი ექიმი თავის საწერ მაგიდასთან ზის.

მთავარი ექიმი: მუდამ მაცეცხვებს, _ ღმერთო, რამდენი ფანტასტიკური აზრი შეიძლება ადამიანს თავში მოუვიდეს?! საიდან მოდიან, ეს უცნაური სცენები, უცნაური ფიქრები, ურთიერთობები, თვისებები? სასწაულია!.. დიახ, ნამდვილად სასწაულია!.. უკვე ოცდაექვსი წელია პაციენტებთან ვმუშაობ, თვრამეტი წელია მთავარი ექიმი ვარ და ჯერ კიდევ მაცეცხვებს ხოლმე... მაშინ, როგორ გაიზომა წნევა, აპარატის გარეშე! ილბლიანი ხალხია! ჩემსავით კი არ არიან...

უეცარი ხმაური და ხმები ისმის

_ რა ხდება?!

_ მეშინია!..

_ შეჩერდი!

_ გზიდან ჩამომეცალე! ჩამომეცალე-მეთქი!

_ ოჰ, არა, ამას ვერ შევხედავ!..

_ ფრთხილად იყავი!

_ უფლება არ გაქვს!

_ ექიმო!.. ექიმო!.. ექიმო!..

მთავარი ექიმი: (წამოდგება) რა ხმაურია? ახლა რაღა ხდება?

_ ექიმო!

_ ექიმო!

სუნთქვაშეკრული ექიმი შემოდის

ექიმი: (სუნთქვაშეკრული) ექიმო!.. ექიმო!.. ეზოში... ეზოში...

მთავარი ექიმი: (შეცბუნებული) რა მოხდა?

ექიმი: ექიმო!... (ხმა უწყდება)

მთავარი ექიმი: (ყვირის) რა მოხდა-მეთქი?

ექიმი: ექიმო!.. ეზოში მფრინავი თეფში დაეშვა!..

მთავარი ექიმი: რაა?

ექიმი: მფრინავი თეფში!.. უცებ ფერადი შუქი გამოჩნდა!.. მერე... მერე ეს დიდი მფრინავი თეფში დაეშვა ეზოში!.. მრგვალია!.. დიდი!.. ანათებს!.. კარი!..

მთავარი ექიმი: (შეწუხებული) გესმის მაინც, რას ამბობ? გონზე ხარ? რა მფრინავი თეფში?!

ექიმი: კოსმოსური ხომალდი, ექიმო!.. ნამდვილი კოსმოსური ხომალდი!.. შეხედეთ! თავად შეხედეთ!..

მთავარი ექიმი ფანჯრისკენ მიიჩქარის და აღელვებული გადასწევს ფარდას გვერდზე, რომ გარეთ გაიხედოს

მთავარი ექიმი: (შემრწუნებული) ოჰ, ღმერთო ჩემო, ეს რა არის?!

მომვლელი შემოდის, ყვირის

მომვლელი: ექიმო!.. ექიმო! ისინი სლემ 13-ის წასაყვანად მოვიდნენ!.. სლემ 13 მიდის!..

მთავარი ექიმი: სად მიდის?

მომვლელი: ვან... ვან... (ვერ წარმოთქვამს) იქ! თავის პლანეტაზე! მფრინავ თეფშში ადია!..

მთავარი ექიმი: (კარიდან გარბის ყვირილით) მეც წამიყვანე!.. მეც წამიყვანე!.. მეც მინდა შენს პლანეტაზე წამოსვლა!.. არ მინდა აქ დარჩენა!..

ექიმი: (მას მიჰყვება ყვირილით) მეც! მეც წამიყვანე!..

მომვლელი: (მათ მიჰყვება ყვირილით) მეც!.. აქ არ დავრჩები!.. მეც წამიყვანე!..

სცენა იცვლება და მთავარი ექიმი, ექიმი, მომვლელი, სამივე ყვირილით მირბიან კოსმოსური ხომალდისკენ, რომელიც სხვადასხვავ ფერად არის განათებული, ეზოში.

_ მეც წამიყვანე!..

_ მეც!..

_ შენს პლანეტაზე მინდა წამოსვლა!..

_ არ მინდა აქ დარჩენა!..

სცენა ტრიალებს და სლემ 13, რომელიც კოსმოსურ ხომალდთან დგას ეზოში, ბრუნდება.

სლემ 13: (ხელს უქნევს) მშვიდობით!.. მივდივარ! ნახვამდის!.. (მეორე ხელს წევს, რომელშიც ქიგნი უჭირავს და ყვირის) სარა!.. სარა!.. შექსპირი თან მიმაქვს!.. ვანდერპრანდურში თეატრს შევქმნი, სარა!.. დავბრუნდები და იქ ტურნეზე წაგიყვან!.. მშვიდობით, მეგობრებო!.. სარა, მე შენთან დავბრუნდები!..

სცენა ტრიალებს და მთავარი ექიმი, ექიმი, მომვლელი ყვირილით სცენის ირგვლივ დარბიან

_ მეც მინდა წასვლა!..

_ შეჩერდი!..

_ მეც წამიყვანე!..

_ მეც!..

_ არ მინდა დედამიწაზე დარჩენა!..

სცენა ტრიალებს და სარა ბერნარი, სტალინი, ცოლ-ქმარი, ვენერელი ეზოში გამავალ დასასვენებელი ოთახის ფანჯარას აღებენ და ხელს უქნევენ სლემ 13-ს:

_ ბონ ვოიაჟე!..

_ მშვიდობით!..

_ კეთილი მგზავრობა!..

_ შეხვედრამდე!..

სლემ 13: (ყვირის) სარა, შენს წასაყვანად დავბრუნდები!..

სარა ბერნარი: (ხელს უქნევს) დაგელოდები!..

სლემ 13: აუცილებლად დავბრუნდები!..

სარა ბერნარი: ვიცი!..

ცოლ-ქმარი: (სარა ბერნარს) ჩემი ქმარი ამბობს, იმედი არასოდეს დაკარგო!..

სლემ 13: (ყვირის) სარა!..

სარა ბერნარი: (მკერდიდან ცვირსახოცს იღებს და უქნევს) უძვირფასესო სლემ 13!

სვენს ტრიალებს და მთავარი ექიმი, ექიმი, მომვლელი, სუნთქვაშეკრულნი ყვირიან:

_ შეჩერდი!..

_ მეც წამიყვანე!..

_ მეც!..

სლემ 13: მშვიდობით!..

მომვლელი: (სუნთქვაშეკრული ჩერდება) წავიდა!.. გაფრინდნენ!..

ექიმი: (სუნთქვაშეკრული ჩერდება) ჩვენ კი დავრჩით!.. /მთავარი ექიმიც ჩერდება. პაუზა/

მთავარი ექიმი: (უეცარდ ყვირის) ვენერელო!.. ვენერელთან!.. (უკან გარბის)

ექიმი: (გარბის და ყვირის) ვენერელთან!.. (უკან მიჰყვება)

მთავარი ექიმი: (ყვირის, გარბის) ვენერელთან ელტად გავფრინდები!..

მომვლელი: (ყვირის და გარბის) მეც! მეც!.. ვენერელო!.. ჩემო ძვირფასო ძმაო!.. ვენერელო!.. შენ ჩემი სულიერი ძმა ხარ!.. (მათ უკან მივბრუნდები)

სინათლე ქრება

*შექსპირის "რომეო და ჯულიეტა", ვახტანგ ჭელიძის თარგმანი.